



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

საქმე "იდენტობა და სხვები საქართველოს
წინააღმდეგ"

(საჩივარი No 73235/12)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2015 წლის 12

მაისი

საბოლოო გახდა

12/08/2015

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლში
მითითებულ შემთხვევაში. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა
დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია)
პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
სხდომის თავმჯდომარე: პაივი ჰირველა,
ჯორჯ ნიკოლაუ,
ლუდი ბიანკუ,
ნონა წოწორია,
პოლ მაჰონი,
კრშიშტოფ ვოიტიჩეკი,
ფარის ვეჰაბოვიჩი,
და სექციის განმწესრიგებელი: ფრანსუა ელენ-პასო,
2015 წლის 14 აპრილს გამართული დახურული თათბირის შემდეგ
გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა
მიღებული:

პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციის "იდენტობა" და საქართველოს 14 მოქალაქის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს წინააღმდეგ 2012 წლის 17 ნოემბერს სასამართლოში შეტანილი (No 73235/12) საჩივრის საფუძველზე. მომჩივნები აღნუსხული არიან დანართში.

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ბ-ნი ლ.ასათიანი და ქ-ნი ნ.ბოლქვაძე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ თბილისში. საქართველოს მთავრობას ("მთავრობა") წარმოადგენდა ლ. მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

3. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ 2012 წლის 17 მაისს გამართულ მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს კერძო პირების მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა და პოლიციის მხრიდან არასაკმარისი დაცვა კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებების დარღვევას წარმოადგენდა.

4. საჩივრის შესახებ მთავრობას ეცნობა 2013 წლის 18 ოქტომბერს.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. თოთხმეტი მომჩივანი ფიზიკური პირი ცხოვრობს ქ. თბილისში, ხოლო პირველი მომჩივანი საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად 2010 წლის 8 ნოემბერს დარეგისტრირებული იურიდიული პირია. მომჩივნების დაბადების თარიღების შესახებ ინფორმაცია მითითებულია დანართში.

A. 2012 წლის 17 მაისის მშვიდობიანი მანიფესტაცია

1. წინასწარი ღონისძიებები

6. პირველმა მომჩივანმა, ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების უფლებების დასაცავად დაფუძნდა, 2012 წლის 17 მაისს დაგეგმა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი მსვლელობა დედაქალაქის ცენტრში.

7. 2012 წლის 8 მაისს პირველმა მომჩივანმა წინასწარ აცნობა ქ.თბილისის მერიასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მშვიდობიანი დემონსტრაციის ზემოხსენებულ დღეს ჩატარების განზრახვის შესახებ. მან აცნობა ხელისუფლების ორგანოებს მსვლელობაში მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა და დაგეგმილი მსვლელობის მარშრუტი, რომელიც თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიიდან იწყებოდა და გრ. ორბელიანის მოედნამდე გრძელდებოდა. ამასთან, ითვალისწინებდა რა ლგბტ თემის მოწინააღმდეგეთა მხრიდან მოსალოდნელ პროტესტს და სექსუალური უმცირესობების მიმართ ზოგად არაკეთილგანწყობილ ფონს, მომჩივანმა ორგანიზაციამ სთხოვა სამთავრობო უწყებებს, შესაძლო ძალადობისგან სათანადო დაცვა უზრუნველყო.

8. 2012 წლის 14 მაისს თბილისის მერიამ დაადასტურა პირველი მომჩივნის მოთხოვნის მიღება და საპასუხო წერილში განმარტა მანიფესტანტთა კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები.

9. 2012 წლის 15 მაისს მომჩივან ორგანიზაციას დაუკავშირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი, რომელმაც დაგეგმილი მსვლელობის დეტალები დააზუსტა და აქციის ორგანიზატორს მსვლელობის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად პოლიციის მზადყოფნა დაუდასტურა.

2. შეტაკებები კონტრდემონსტრანტებთან

10. მეორე მომჩივნიდან მეთოთხმეტე მომჩივნის ჩათვლით ყველამ წარმოადგინა წერილობითი ჩვენება მომხდარი ინციდენტის ამსახველ ზუსტ გარემოებათა შესახებ. 2012 წლის 17 მაისს, დაახლოებით დღის 1-ელ საათზე ლგბტ თემის წევრები, ორგანიზაცია იდენტობის თანამშრომლები და სხვა ლგბტ აქტივისტები, რომელთა შორის ზემოხსენებული ცამეტი მომჩივანიც იყო, - მთლიანობაში დაახლოებით ოცდაათი ადამიანი ("ლგბტ მსვლელობის მონაწილენი") - შეიკრიბნენ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ეჭირათ

ბანერები შემდეგი სლოგანებით "მე ვარ გეი", "მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი", "სიყვარული სიყვარულია" და "გახდი ფერადი", ასევე დროშები და ქოლგები ცისარტყელას ფერებში. საპატრულო პოლიცია, შეთანხმებისამებრ, იმყოფებოდა თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე.

11. მანიფესტაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, ორი რელიგიური ჯგუფის, "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" და "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის საძმოს" წევრები მოვიდნენ თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც ლგბტ მსვლელობის მონაწილეებთან ინტერვიუს იღებდნენ.

12. მსვლელობის დაწყების პუნქტიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით ზემოხსენებული ორი რელიგიური ჯგუფის წევრებმა ("მანიფესტაციის მოწინააღმდეგეები") შეაჩერეს მსვლელობის მონაწილენი და დაიწყეს მათთან კამათი. კონტრდემონსტრანტები ამტკიცებდნენ, რომ არავის ჰქონდა უფლება ჩაეტარებინა გეი-აღლუმი და ხელი შეეწყო "გარყვნილებისათვის", ვინაიდან ეს ქართულ ტრადიციებს და მორალურ ფასეულობებს ეწინააღმდეგებოდა. პასუხად, მსვლელობის მონაწილეები შეეცადნენ, მშვიდად აეხსნათ, რომ ეს მსვლელობა არა გეი-აღლუმი, არამედ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი საზოგადოებრივი ღონისძიება იყო, და მათ განაგრძეს მსვლელობა.

13. რუსთაველის გამზირზე მისულ მსვლელობის მონაწილეებს 100 ან მეტი კონტრდემონსტრანტი დახვდა, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას იყენებდნენ. კონტრდემონსტრანტებმა გადაუღობეს გზა მსვლელობის მონაწილეებს, გააკეთეს ცოცხალი ჯაჭვი და ალყა შემოარტყეს მსვლელობის მონაწილეებს ისე, რომ მათ მსვლელობის გაგრძელება აღარ შეეძლოთ. მსვლელობის მონაწილეებს დაემუქრნენ ფიზიკური შეურაცხყოფით, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, და უწოდეს "ავადმყოფი" და "ამორალური" ადამიანები და "გარყვნილები". მსვლელობის მონაწილეებს არაერთგზის უწოდეს დამამცირებელი წოდებები როგორცაა "პიდარასტები" და "ცოდვილები". ამ მომენტისთვის საპატრულო პოლიციის ექსკორტი, რომელიც მსვლელობის მონაწილეებს მოჰყვებოდა, აღმოჩნდა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით.

14. ლგბტ მსვლელობის მონაწილეებმა, იგრძნეს რა საფრთხე, დაუყოვნებლივ დარეკეს პოლიციაში, გააფრთხილეს ისინი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და სთხოვეს დამატებითი ძალების გამოყოფა. მოთხოვნილი პოლიციის დამატებითი ძალების მოლოდინში მსვლელობის მონაწილეებმა შენიშნეს, რომ შემთხვევის ადგილას პოლიციელთა მცირე რაოდენობა იყო მობილიზირებული. თუმცა, როდესაც მსვლელობის მონაწილეებმა მათ დახმარებისთვის მიმართეს, პოლიციელებმა მიუგეს, რომ ისინი

საკატრულო პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ და არსებულ სიტუაციაში ჩარევა მათ მოვალეობაში არ შედიოდა.

15. აგრესია მსვლელობის მონაწილეთა წინააღმდეგ გამბაფრდა, და დაახლოებით 20-30 წუთის შემდეგ კონტრდემონსტრანტებმა რამოდენიმე აქტივისტს ხელიდან გამოსტაცეს ბანერები და დახიეს ისინი. ამის შემდეგ, კონტრდემონსტრანტები წინა რიგებში მყოფ მსვლელობის მონაწილეების მიმართ ხელის კვრითა და დარტყმით ფიზიკურ შეტევაზე გადავიდნენ. განხორციელებული თავდასხმისას მეექვსე მომჩივანი (ბ-ნი გ. დემეტრაშვილი), რომელიც მსვლელობის წინა რიგში იდგა მიწაზე დააგდეს, და ხელით და ფეხით სცემეს. მცირე ხნის შემდეგ, საკატრულო პოლიციის რამოდენიმე მანქანა მოვიდა შემთხვევის ადგილას. ზოგიერთი სამართალდამცავი პირი ჩაერია ინციდენტში და აღკვეთა მეექვსე მომჩივნის ცემა. პოლიციელებმა დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩადგომის გზით გააშველეს ისინი. ამ დროს აგრესიული და აჟიტირებული კონტრდემონსტრანტები კვლავ დიდი გესლით იმუქრობდნენ და იმახდნენ, რომ მსვლელობის მონაწილენი "ცოცხლად უნდა დაეწვათ" ან "გაესრისათ".

16. მესამე მომჩივანმა (ბნ-ი. ლ.ბერიანიძე), რომელიც ლგბტ მსვლელობის სხვა მონაწილეებთან ერთად ტროტუარზე იდგა, სთხოვა პოლიციას, მსვლელობის დასაცავად უფრო ქმედითი ზომები მიეღო. ამის საპასუხოდ პოლიციამ მომჩივანი ძალით ჩასვა საკატრულო პოლიციის მანქანაში და მიიყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის პოლიციის განყოფილებაში, სადაც დაახლოებით 20 წუთის მანძილზე დაკავებული ჰყავდათ .

მომჩივანს არ მიეცა იმ მომენტისთვის ოფიციალური განმარტება დაკავების მიზეზის შესახებ. თუმცა, როგორც მთავრობამ მოგვიანებით განმარტა, პოლიციამ მომჩივანი უბრალოდ მოარიდა შემთხვევის ადგილს, რათა გაბრაზებული კონტრდემონსტრანტებისგან დაეცვა.

17. იდენტობის სამი თანამშრომელი - მეექვსე, მეშვიდე და მეთექვსე მომჩივნები (ბ-ნი ი. დემეტრაშვილი, ქ-ნი გ. ძერყორაშვილი და ქ-ნი მ. კალანდაძე) ასევე დააკავა პოლიციამ, როდესაც მომჩივნები ტროტუარიდან გზაზე გადმოვიდნენ. ისინი იძულებით ჩასვეს საკატრულო პოლიციის მანქანაში და დაახლოებით 20 წუთის მანძილზე ატარეს ქალაქში, სანამ ისევ რუსთაველის გამზირზე დააბრუნებდნენ. მთავრობამ მოგვიანებით განმარტა, რომ მომჩივანთა მცირე დროით დაკავება ორ მიზანს ემსახურებოდა: აერიდებინა მომჩივნების მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - საგზაო მოძრაობის შეფერხება - და ასევე დაეცვა ისინი კონტრდემონსტრანტების დავდასხმისგან.

18. მოგვიანებით, 2012 წლის 17 მაისს, მესამე და მეექვსე მომჩივნებმა (ბნ-ი ლ. ბერიანიძე და ქნ-ი გ. დემეტრაშვილი) მიმართეს სამედიცინო დახმარებას სხეულის დაზიანებების გამო. მესამე მომჩივანს აღენიშნებოდა ჩალურჯება მარცხენა მუხლზე,

გადატყავებული მარცხენა ხელის მტევანი და თითები ჰემორაგიული წინამხარი და ჰემატომა მარჯვენა წარბზე. მეექვსე მომჩივანს აღენიშნებოდა თავის ქალის დახურული ტრამვა, ტვინის დაჟეჟილობა და ჩალურჯება მარცხენა მკერდის არეში. ორი დღის შემდეგ, 2012 წლის 19 მაისს, მეთოთხმეტე მომჩივანი (ქნ-ი. ცუცქირიძე) ასევე იმყოფებოდა ექიმთან. მას დაუდგინეს მარჯვენა მაჯის დაჟეჟილობა.

19. იქ მყოფმა ჟურნალისტებმა ჩაწერეს მსვლელობის მონაწილეთა და კონტრდემონსტრანტებს შორის შეტაკებები და რამოდენიმე ეროვნულმა სატელევიზიო არხმა გადმოსცა ეს კადრები 2012 წლის 17 მაისის საღამოს. კადრებში ადვილად ამოცნობადი იყო თავდასხმის შედეგად დაზარალებულ მომჩივანთა და მათზე თავდამსხმელ კონტრდემონსტრანტების სახეები.

B. შემდგომი გამოძიება

20. 2012 წლის 18 მაისს მომჩივანთა ორგანიზაციის საბჭოს წევრებმა შეიტანეს რამოდენიმე საჩივარი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 17 მაისის მსვლელობისას ორი რელიგიური ჯგუფის მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის აქტებთან დაკავშირებით. საჩივარი ძირითადად ემყარებოდა გარემოებებს, რომლებიც ცამეტი მომჩივნის მიერ შედგენილ წერილობით განცხადებებში იყო აღწერილი (იხ. მე-10-მე-19 პარაგრაფები).

21. 2012 წლის 19 მაისს გამოძიება დაიწყო უცნობ პირთა მიერ მეოთხე მომჩივნისათვის (ქ-ნი. ცუცქირიძე) სხეულის მსუბუქი დაზიანების ფაქტზე. იმავე დღეს მოწმის სახით დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ უცნობმა მამაკაცებმა მას პლაკატი წაართვეს და პლაკატის ტარი ჩაართყეს. 2012 წლის 23 მაისს მერვე მომჩივანი (ქ-ნი. გლახაშვილი) ასევე დაიკითხა მეთოთხმეტე მომჩივნის ხელის დაზიანებასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, 2012 წლის 21 ივნისს გამოძიებამ დანიშნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ მეთოთხმეტე მომჩივნის მაჯაზე აღნიშნული ჩალურჯება და ექსკორიაციები სხეულის მსუბუქ დაზიანებას წარმოადგენდა. ამ მომენტისთვის გამოძიებამ დაზარალებულად არ სცნო მეთოთხმეტე მომჩივანი.

22. 2012 წლის 26 ივნისს პირველმა მომჩივანმა, ორგანიზაციის საბჭოს წევრთა 2012 წლის 18 მაისის საჩივრის პასუხად, მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის წერილი. პასუხში აღნიშნული იყო, რომ, ვინაიდან საპატრულო პოლიციის ქმედებებში დემონსტრაციის დროს უკანონო ქმედების ნიშნები არ აღინიშნებოდა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე გამოძიების ჩატარების საჭიროება არ იდგა. კონტრდემონსტრანტების ქმედებებთან დაკავშირებით კი საგულისხმოა, რომ ორი მათგანი ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, რომელიც წვრილმან ხულიგნობას ითვალისწინებს, დააკავეს და 100-100 ლარით (დაახლოებით 45 ევრო) დააჯარიმეს.

23. 2012 წლის 3 და 5 ივლისს, წინამდებარე საქმეში პირველმა მომჩივანმა და ცამეტმა მომჩივანმა ფიზიკურმა პირმა (მეორედან მეთოთხმეტე მომჩივნის ჩათვლით) დამატებით შეიტანეს საჩივრები მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში. მომჩივნები კონკრეტულად მოითხოვდნენ, სისხლის სამართლის გამოძიების ორი ფაქტობრივი გარემოების გამო დაწყებას: პირველი, მათ მიმართ კონტრდემონსტრანტების მხრიდან აშკარა დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებული სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის გამო, და მეორე, პოლიციელთა მხრიდან, რომლებმაც მსვლელობის მონაწილეები თავდასხმისაგან ვერ დაიცვეს, მათი ქმედებების თუ უმოქმედობის გამო. მომჩივნებმა მკაფიოდ დააფიქსირეს, რომ სისხლის სამართლის მოკვლევა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი ჰომოფობიური მოტივის გამო დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენის გათვალისწინებით უნდა წარმართულიყო.

24. მესამე, მეექვსე, მეშვიდე და მეთექვსმეტე მომჩივნების საჩივრები ყურადღებას ამახვილებდა კონტრდემონსტრანტების მხრიდან მათზე განხორციელებულ თავდასხმისა და საპატრულო პოლიციის მხრიდან მათი დაცვის სათანადოდ ვერ უზრუნველყოფის ფაქტზე. ამ მომჩივნებს არ მოუთხოვიათ მოკვლევის ჩატარება 2012 წლის 17 მაისის ინციდენტის დროს პოლიციის მიერ მათი განზრახ უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით (იხ. ქვემოთ 33-ე პარაგრაფში მოყვანილი სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი).

25. 2012 წლის 17 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირველ მომჩივანს და დანარჩენ ცამეტ მომჩივანს წერილობითი პასუხით აცნობა, რომ 2012 წლის 17 მაისის ინციდენტის დროს პოლიციამ ლგბტ მსვლელობის მონაწილეებს და კონტრდემონსტრანტებს მოუწოდა, მანიფესტაციის მოწყობის უფლება მშვიდობიანი გზით გამოეყენებინათ. სამინისტროს წერილი ასევე იმეორებდა ინფორმაციას, რომ კონტრდემონსტრანტების ორ წარმომადგენელს ადმინისტრაციული სახდელი შეეფარდა (იხ. ზემოთ მოყვანილი 22-ე პარაგრაფი).

26. 2012 წლის 24 ოქტომბერს 2012 წლის 17 მაისს უცნობი პირების მიერ მეექვსე მომჩივნის (ბ-ნი გ. დემეტრაშვილი) ცემის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყო. მომჩივანი მოწმის სახით დაიკითხა იმავე დღეს. მან განაცხადა, რომ ხუთმა თუ ექვსმა კონტრდემონსტრანტმა მას ალყა შემოარტყა და შეურაცხყოფა მიაყენა. შემდეგ თავდამსხმელებმა სცემეს მომჩივანი ხელით და ფეხით. ეს ქმედება გრძელდებოდა რამოდენიმე წუთი, სანამ საბოლოოდ პოლიცია არ ჩაერია და არ მოახდინა მომჩივნის ინციდენტის ადგილიდან გაყვანა. 2012 წლის 6 ნოემბერს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნამ დაადასტურა,

რომ მეექვსე მომჩივანს ჰქონდა დაჟეჟილობა და თავის ქალის ტრამვა. იმ მომენტისათვის მომჩივანი არ ცნეს დაზარალებულად.

27. 2014 წლის სექტემბერში ორი კონტრდემონსტრანტი, რომელიც მანამდე დისციპლინარული გადაცდომისათვის იყო დაჯარიმებული, დაიკითხა მომჩივნის ცემის ფაქტთან დაკავშირებით მოწმის სახით. 2014 წლის სექტემბერში მეექვსე მომჩივანმა განაცხადა 2012 წლის 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით განმეორებით დაკითხვაზე, რომ მას გარკვეული გარემოებები დროის პერიოდის გასვლის გამო აღარ ახსოვდა. მიუხედავად ამისა, მან დაადასტურა, რომ იმ პირების ამოცნობას შესძლებდა, რომლებმაც მასზე თავდასხმა განახორციელეს.

28. საქმეში არსებული ბოლო ინფორმაციით, მეექვსე და მეთოთხმეტე მომჩივნების სხეულის დაზიანების ფაქტზე 2012 წლის 19 მაისს და 24 ოქტომბერს დაწყებული გამოძიებები კვლავ მიმდინარეობს და ეს ორი მომჩივანი დაზარალებულად ჯერ არ უცვნიათ.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა საერთაშორისო დოკუმენტები და სხვა მასალები

A. მოცემულ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი

29. 2012 წლის მარტში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში შეტანილ იქნა შესწორება, რომლის თანახმად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაცია პასუხისმგებლობის დანაშაულის ჩადენისას დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს. კოდექსის შესაბამის მუხლში ვკითხულობთ:

53-ე მუხლის მე-3 პრიმა ერთი ნაწილი

"დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის."

30. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 188-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებულია სხეულის განზრახ მძიმე, განზრახ ნაკლებად მძიმე და განზრახ მსუბუქი დაზიანებები.

31. სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით ისჯება ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (განზრახ მსუბუქი დაზიანების

მიყენება).

32. სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით ისჯება სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება).

33. სისხლის სამართლის 147-ე მუხლით პირისთვის სახელმწიფო მოხელის მიერ უკანონოდ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა -"განზრახ უკანონო დაკავება"- სისხლის სამართლით დასჯად დანაშაულია.

34. სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა სისხლის სამართლის სამართლით დასჯადია. ამ სამართალდარღვევის დისპოზიციურ ელემენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვისაც ემუქრებიან, მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში უჩნდება.

35. სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის თანახმად მშვიდობიანი დემონსტრაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების ძალადობის, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონოდ ხელის შეშლა სისხლის სამართლით დასჯადი დანაშაულია.

B. წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ევროპის საბჭოს რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ

36. 2010 წლის 31 მარტს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციიდან CM/Rec(2010)5 შესაბამის ამონარიდში ნათქვამია:

"1. წევრმა სახელმწიფოებმა დაზარალებულის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს უნდა უზრუნველყონ ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი ორგანოების ან საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სხვა პირების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება, დამნაშავეების ეფექტურ გასამართლება და საჭიროების შემთხვევაში მათი დასჯა, რათა თავიდან იქნას არიდებული დაუსჯელობის სინდრომი.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასჯელის განსაზღვრისას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივი როგორც დამამძიმებელი გარემოება მხედველობაში იქნას მიღებული. ...

13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად გამოხატვის თავისუფლების ეფექტური გამოყენება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ; მათ შორის,

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება.

14. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.

15. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების უფლებების მხარდასაჭერად გამართული მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილეთა დაცვისთვის საჭირო ზომების მიღება აღნიშნული მანიფესტაციის უკანონო შეწყვეტის ან შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაში ხელის შეშლის მცდელობების აღსაკვეთად. ...

17. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, ყველა დონეზე, უნდა დაგმოს საჯაროდ, განსაკუთრებით მასმედიაში, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების ინდივიდუალურ და ჯგუფურ უფლებაში ნებისმიერი სახის არაკანონიერი ჩარევა, განსაკუთრებით ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების უფლებებთან მიმართებაში.

C. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

37. ევროპაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მოტივით დისკრიმინაციის კვლევა ჩატარდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მხარდაჭერით. 2011 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა კვლევის მეორე გამოცემა. საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით შესაბამისი ამონარიდში ნათქვამია (სქოლიო გამოტოვებულია):

"რესპოდენტთა 84%-მა გამოხატა ნეგატიური დამოკიდებულება ჰომოსექსუალიზმის მიმართ. ...

2010 წელს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო განხილვამდე, რომელიც ეხებოდა ლგბტ პირების ადამიანის უფლებებს, სხვადასხვა რელიგიური საზოგადოებები ერთობლივად აპროტესტდებდნენ «ნორმიდან გადახრას, როგორცაა ჰომოსექსუალიზმი, ბისექსუალიზმი და სხვა სახის სექსუალური გარყვნილება, რაც მძიმე ცოდვად მიიჩნევა არა მხოლოდ ქრისტიანული არამედ ყველა სხვა ტრადიციული რელიგიის მიერ და იწვევს გადაგვარებას და ფიზიკურ და გონებრივ დაავადებებს»...

არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში ლგბტ პირთა 87% უმაღლეს საკუთარ ოჯახს თავის სექსუალურ ორიენტაციას. ..."

38. 2014 წლის 12 სექტემბერს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა გამოაქვეყნა საქართველოში 2014 წლის 20-25 იანვრის ვიზიტის შესახებ ანგარიში. ლგბტ თემის მდომარეობასთან დაკავშირებულ კომისრის რეკომენდაციებისა და დაკვირვებების ამონარიდში ვკითხულობთ(სქოლიო გამოტოვებულია):

"68. საზოგადოების უდიდესი ნაწილის უარყოფითი განწყობის გამო, ბევრი

ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და ინტერსექსუალი (ლგბტ) პირი შევიწროვებისა და დისკრიმინაციის შიშით იძულებულია დამალოს საკუთარი სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა, მათ შორის როგორც სამსახურში, ისე სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას. სახალხო დამცველმა აცნობა კომისარს, რომ 2013 წლის განმავლობაში მის უწყებაში შესულია 30-ზე მეტი საჩივარი ლგბტ პირების წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებთან დაკავშირებით. ლგბტ პირების უფლებათა დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციების ქოლგა ორგანიზაციამ, 'ილგა-ევროპამ', შეაგროვა ინფორმაცია 2013 წელს ლგბტ პირების წინააღმდეგ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი შვიდი დანაშაულის შესახებ, რომელიც სხვადასხვა სახის თავდასხმას, მათ შორის გაუპატიურებას, და ასევე ძალადობის მუქარა, მათ შორის მკვლელობის მუქარას, მოიცავდა. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის 2013 წლის სექტემბერში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია 'იდენტობა'-ს მიერ წარდგენილ ანგარიშში ნახსენებია 2013 წლის აპრილში დასავლეთ საქართველოში მომხდარი მკვლელობის ფაქტი, რომელიც სავარაუდოდ სიძულვილის მოტივით იქნა ჩადენილი. ზემოთ მოყვანილი ციფრები აშკარად შემცირებულია ლგბტ პირთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის მოტივით სინამდვილეში განხორციელებულ თავდასხმათა რაოდენობასთან შედარებით, სხვა მიზეზთა შორის, იმის გამო, რომ მსხვერპლს სურვილი არა აქვს, მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ პოლიციაში განაცხადოს, რადგან ეშინია, რომ ოჯახისათვის მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ ცნობილი გახდება. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე, სერიოზული შეშფოთება გამოხატეს იმის თაობაზე, რომ ამგვარი საქმეების ეფექტური გამოძიება და დანაშაულის სათანადოდ დასჯა არ ხდება.

...

73. კომისარი მოუწოდებს ძალისხმევას გააქტიურებისკენ მოსახლეობის უმრავლესობაში ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის განმტკიცების მიზნით. ის ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ხელისუფლება, სახელმწიფო მოღვაწეები და თემის ლიდერები საზოგადოების წინაშე ადამიანის უფლებათა მხარდასაჭერად ერთსულოვანი პოზიციით წარსდგენ და ძალადობა, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია დაგმონ. ცხადი უნდა გახდეს, რომ ლგბტ პირების წინააღმდეგ ძალადობა მიუღებელია და ხელისუფლება ამგვარ ქმედებათა მიმართ შემწყნარებლობას არ დაუშვებს.

74. კომისარი მიესალმება ერთიანი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავების გეგმებს. იგი მტკიცედ ემხრობა თანასწორობის დაცვის ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნას, რომელიც უფლებამოსილი იქნება, დააწესოს სადამსჯელო სანქციები დისკრიმინაციის ფაქტების გამოვლენისას, მათ შორის კერძო სექტორის წარმომადგენელთა მიმართ. ...

75. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მისცენ სათანადო კვალიფიკაცია სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს და ისინი ეფექტურად უნდა გამოიძიონ. დისკრიმინაციული მოტივი უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც დამამძიმებელი გარემოება, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა უკვე ითვალისწინებს, და დანაშაულის უნდა დაისაჯონ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად.

D. ლესბოსელების და გეების, საერთაშორისო ორგანიზაცია (ILGA) ლგბტ თემის პრობლემების შესახებ საქართველოში

39. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი პირების საერთაშორისო ორგანიზაციამ (ილგა), 2013 წლის ლგბტ თემის

საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ (ყოველწლიურ) მიმოხილვაში, გააკეთა შემდეგი კომენტარები ქვეყანაში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით:

"2012 წლის მარტში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის საკითხს ეხებოდა. ჰომოფობიური და ტრანსფობიური მოტივი მიიჩნევა უკვე დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად დანაშაულის მიმართ სასჯელის ზომის შეფარდებისას. ეს საკანონმდებლო ცვლილება იქნა მიღებული რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისიის რეკომენდაციის პასუხად. თუმცა, მთავრობამ არ მიიღო ამ დებულების ეფექტურად იმპლემენტაციისათვის საჭირო ისეთი ზომები, როგორცაა საპატრულო პოლიციის ოფიცრების მომზადება ან სამართალდამცავ ორგანოებსა და ლგბტ თემს შორის ნდობის განმტკიცება, რათა დაზარალებულებმა შემთხვევების შეტყობინების შემთხვევაში თავი დაცულად იგრძნონ.

"ილგა-ევროპა"-მ შეაგროვა ინფორმაცია ერთი წლის მანძილზე ლგბტ პირების მიმართ სიძულვილის მოტივით ჩადენილი შვიდი დანაშაულის შესახებ. ეს დანაშაულები მოიცავდა სხვადასხვა სახის თავდასხმებს, მათ შორის გაუპატიურებას, და სხვადასხვა სახის ფიზიკური ძალადობის მუქარას, მათ შორის მკვლელობის მუქარას. ზოგიერთი თავდასხმა მაისში მოწყობილი IDAHO მანიფესტაციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების წინააღმდეგ იყო გამიზნული. ..."

სამართალი

I. პირველ და მეთხუთმეტე მომჩივნების დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებული წინასწარი პროტესტი

A. პირველ მომჩივანთან დაკავშირებით

1. მხარეთა არგუმენტები

40. პირველი მომჩივანი, არასამთავრობო ორგანიზაცია "იდენტობა", დანარჩენ თოთხმეტე ფიზიკურ პირ მომჩივანთან ერთად, ასაჩივრებდა, რომ 2012 წლის 17 მაისს მანიფესტაციის მოწინააღმდეგეთა თავდასხმით და ინციდენტის გამოძიების ხელისუფლების ვალდებულების შეუსრულებლობით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით დაცული მისი უფლებები. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის უკანასკნელი დებულებას "პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის" მხრივ, და ასევე კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებს. მომჩივანს მოჰყავდა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-3, მე-8, მე-10 და მე-11 მუხლებთან კავშირში, რათა სამართალდარღვევის

დისკრიმინაციული ბუნება ემხილებინა, და მე-13 მუხლი კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში, რათა საქმეზე ჩატარებული სისხლისსამართლებრივი გამოძიების არაეფექტურობაზე გაემახვილებინა ყურადღება.

41. მთავრობამ გამოთქვა პროტესტი, რომ პირველ მომჩივანს მისი სტატუსიდან გამომდინარე არ შეეძლო, მისი უფლებების დარღვევებზე იმ ფაქტებზე დაყრდნობით ედავა, რომლებიც მის ცალკეულ წევრებს შეეხო. კერძოდ მთავრობამ განაცხადა, რომ იურიდიული პირი ვერ იდავებდა პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემის და მშვიდობიანი შეკრების მოწყობის თავისუფლების შეზღუდვის ხელყოფის გამო მისი საკუთარი სახელით ან მისი ცალკეული წევრების სახელით კონვენციის მე-3, მე-8 და მე-11 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე.

42. პირველი მომჩივანი არ დაეთანხმა მთავრობის პოზიციას, რომ საჩივარი მხოლოდ მე-8, მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით უნდა განხილულიყო, და არ გამოუთქვამს პროტესტი კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით. კერძოდ, მომჩივნის არგუმენტი იყო ის, რომ მის მიერ ორგანიზებული, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მოწყობილი იმ მანიფესტაციის ჩაშლამ, რომელიც მისი საქმიანობის ნაწილს წარმოადგენდა, -ანუ მანიფესტაციაზე თავდასხმამ დისკრიმინაციული მოტივით, მას, როგორც ორგანიზაციას, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში ხელი შეუშალა. პირველი მომჩივნის აზრით, მისი ორგანიზაციული საქმიანობა უნდა ყოფილიყო გაგებული როგორც მისი "პირადი ცხოვრება" კონვენციის მე-8 მუხლით.

2. სასამართლოს შეფასება

43. სასამართლო იმეორებს, რომ სიტყვა "დაზარალებული", კონვენციის 34-ე მუხლის შინაარსით, აღნიშნავს პირს ან პირებს, რომლებსაც განხორციელებული ძალადობა პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეხო. (იხ. შესაბამისად საქმე *SARL du Parc d'Activités de Blotzheim საფრანგეთის წინააღმდეგ*, N. 72377/01, 20-ე პარაგრაფი, 11 ივლისი, 2006). ამრიგად, 34-ე მუხლი ეხება არა მხოლოდ იმ დაზარალებულს ან დაზარალებულებს, რომლებსაც უფლების დარღვევა პირდაპირ შეეხო, არამედ ასევე იმ პირებს, რომლებიც უფლების დარღვევის შედეგად დაზარალდნენ, ან რომლებსაც ამ დარღვევის შეჩერების მართლზომიერი და პირადი დაინტერესება ჰქონდათ.

(იხ. შესაბამისად საქმე დეფალქი ბელგიის წინააღმდეგ N 37330/02, პუნქტი 46, 20 აპრილი 2006; და *Tourkiki Enosi Xanthis* და *სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, N. 26698/05, 38-ე პარაგრაფი, 27 მარტი 2008).

(ა) კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლის ცალკე აღებული დებულებების და ამ დებულებების მე-13 და მე-14 მუხლების დებულებებთან ერთობლიობაში პირველი მომჩივნის პრეტენზიის განხილვა

44. პირველი მომჩივნის არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო შენიშნავს, რომ გაურკვეველია, მომჩივანი ორგანიზაცია 2012 წლის 17 მაისის მსვლელობის მონაწილე მისი წევრი ფიზიკური პირების სახელით, თუ თავად როგორც იურიდიული პირი ისე, ჩიოდა.

45. სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ ის გარემოებები, რომლებმაც სავარაუდოდ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით დაცული უფლებების დარღვევა გამოიწვია, ერთიდაიგივეა და წინასწარი განზრახვით ცალკეულ პირთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობაზე თავდასხმასა და სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ პირთა სათანადო დაცვის ვერ უზრუნველყოფას მოიცავს. თუმცა, შეუძლებელია, რომ ადამიანისთვის დამახასიათებელი ფიზიკური ხელშეუხებლობა ასევე პირველ მომჩივანს, იურიდიულ პირს, მივაკუთვნოთ (შედარებისთვის იხილეთ საქმე *Verein "Kontakt-Information-Therapie" (KIT) და Siegfried HAGEN ავსტრიის წინააღმდეგ* N. 11921/86, 1986 წლის 12 ოქტომბრის კომისიის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და ანგარიშები (DR) No. 57-A, გვ. 81).

იმ შემთხვევაშიც, თუ პირველი მომჩივანი თავისი წევრი იმ ფიზიკური პირების სახელით ჩივის, რომელთა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება 2012 წლის 17 მაისის ინციდენტის შედეგად დაირღვა, სასამართლო მანც ვერ მიაკუთვნებს პირველ მომჩივანს შესაბამისი უფლებამოსილებას. და მართლაც, კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად ორგანიზაციები ვერ გამოვლენ დაზარალებულის სტატუსით იმ ქმედებათა და უმოქმედობათა გამო, რომლის დროსაც ამ ორგანიზაციის წევრი ფიზიკური პირების უფლებები და თავისუფლებები დაირღვა, და რომლებიც სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირები არიან და საკუთარი სახელით სასამართლოში საჩივრის შეტანა შეუძლიათ. (იხ. სხვა წყაროებს შორის *Vallianatos and Others v. Greece* [GC], nos., nos. 29381/09 და 32684/09, 47-ე პარაგრაფი, ECHR 2013 (ამონარიდი); *Stichting Mothers of Srebrenica and others v. the Netherlands* (განჩინება), N. 65542/12, 115-116-ე პარაგრაფები, ECHR 2013 (ამონარიდი); *Fédération chrétienne des témoins de Jéhovah de France v. France* (განჩინება), N. 53430/99, ECHR 2001-XI; and *Association des Amis de Saint-Raphaël et de Fréjus v. France* (განჩინება), N. 45053/98, 29 თებერვალი 2000).

46. აქედან გამომდინარე, პირველი მომჩივანი ამ საქმის ფაქტების მიხედვით ვერ გამოვა პირდაპირ თუ ირიბ დაზარებულად კონვენციის 34-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, და ვერც კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების ცალკე აღებული დებულებების ან ამ დებულებების მე-13 და მე-14 მუხლებთან ერთობლიობაში წაკითხული უფლებების დარღვევის გამო. ამდენად, საჩივარი ამ ნაწილში შეუთავსებელია მომჩივანი პირის თვალსაზრისით (*ratione personae*) კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის შინაარსთან და უკუგდებულ უნდა იქნას 35-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე.

14.

(ბ) პირველი მომჩივნის პრეტენზია კონვენციის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით დაცული უფლებების დარღვევის გამო

47. რაც შეეხება პირველი მომჩივნის პრეტენზიას კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების ცალკე აღებული ან მე-14 მუხლთან ერთობლიობაში წაკითხული დებულებებით დაცული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ თეორიულად იურიდიული პირები შესაძლოა, გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებების შეზღუდვის დაზარალებულნი იყვნენ. (იხ. მაგალითისთვის შემდეგი საქმეები *Ukrainian Media Group v. Ukraine*, no. 72713/01, 38-70-ე პარაგრაფები, 2005 წლის 29 მარტი, და *Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom*, no. 8440/78, 1980 წლის 16 ივლისის კომისიის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 21, გვ.138). სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ, წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის არსი მშვიდობიან შეკრებაზე თავდასხმაში მდგომარეობს, რაც კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების ცალკე აღებულად, არამედ კონვენციის მე-11 მუხლთან დამოკიდებულებაში უნდა იქნას განხილული (შედარებისთვის იხ. *Kakabadze and Others v. Georgia*, no. 1484/07, 83-ე პარაგრაფი, 2012 წლის 2 ოქტომბერი)..

48. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო კერძოდ იმეორებს, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება შეიძლება განხორციელდეს არამხოლოდ შეკრების მონაწილე ფიზიკური პირების, არამედ მისი ორგანიზატორების, მათ შორის იურიდიული პირების მიერ (იხ. *Hyde Park and Others v. Moldova (nos.5 and 6)*, nos. 6991/08 and 15084/08, 32-ე პარაგრაფი, 2010 წლის 14 სექტემბერი; *Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria*, 1988 წლის 21 ივნისი, სერია A no. 139; და ზემოთ აღნიშნული *Christians against Racism and Fascism*).

შესაბამისად, სასამართლო უშვებს, რომ 2012 წლის 17 მაისის მშვიდობიან მსვლელობაზე თავდასხმა, პირველი მომჩივნის წევრი ფიზიკური პირების კონვენციით დაცული რიგი უფლებების ხელყოფის გარდა, ასევე, თავად დემონსტრაციის როგორც ასეთის ჩაშლას წარმოადგენდა. დემონსტრაციის ჩაშლამ თავის მხრივ იმოქმედა ღონისძიების ორგანიზატორის, პირველი მომჩივნის,

როგორც ორგანიზაციის ინტერესზე - გავრცელებინა შესაბამისი მესიჯი ლგბტ საზოგადოების მდგომარეობის შესახებ საქართველოში, რომელსაც დაგეგმილი საჯარო მსვლელობის საშუალებით ხამოხატავდა.

49. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველ მომჩივანს საპროცესო უფლებამოსილება გააჩნია, საკუთარი სახელით იჩივლოს კონვენციის მე-11 მუხლით დაცული უფლების დარღვევის გამო. ამასთან, კონვენციის ამ უკანასკნელი დებულების კონვენციის მე-10 მუხლთან ურთიერთკავშირის, და ასევე მე-14 მუხლის შემავსებელი ფუნქციის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ მთავრობის ამ დებულებებთან დაკავშირებული პროტესტი არ უნდა იქნას მიღებული.

B. მეთხუთმეტე მომჩივანთან დაკავშირებით

1. მხარეთა არგუმენტები

50. მეთხუთმეტე მომჩივანი, ბ-ნი ირაკლი ვაჭარაძე, ასაჩივრებდა, რომ, სხვა ცამეტ მომჩივან ფიზიკურ პირთან ერთად, იგი იმ ძალადობის მსხვერპლია, რომელსაც 17 მაისის მსვლელობისას ჰქონდა ადგილი, და რომელსაც პოლიციის მხრიდან უმოქმედობამაც შეუწყო ხელი, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3, მე-8, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლებით გარანტირებულ სხვადასხვა უფლების დარღვევას.

51. მთავრობამ გააპროტესტა, რომ მეთხუთმეტე მომჩივანი ვერ იჩივლებდა როგორც მსვლელობის მიმდინარეობისას ჩადენილი ძალადობით დაზარალებული პირი, რადგან ის არ მონაწილეობდა 2012 წლის 17 მაისის მსვლელობაში. ამდენად, დანარჩენი ცამეტი მომჩივანისგან განსხვავებით, მას არ უზრუნია იმაზე, რომ რაიმე სახის ახსნა-განმარტება მიეცა მომხდარს შესახებ, რაც იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ მან მართლაც მიიღო მონაწილეობა მსვლელობაში. ამ პროტესტის გასამყარებლად მთავრობამ მოიყვანა საქმეში არსებულ ვიდეომასალა. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ჩანაწერში ცამეტი მომჩივანი ფიზიკური პირი (მეორე მომჩივნიდან მეთოთხმეტე მომჩივანის ჩათვლით) ჩანდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მეთხუთმეტე კი - არსად.

52. მეთხუთმეტე მომჩივანი მთავრობის პოზიციას არ გამოეხმაურა.

2. სასამართლოს შეფასებები

53. სასამართლო შენიშნავს, რომ, დანარჩენი ცამეტი მომჩივანი ფიზიკური პირისგან განსხვავებით, მეთხუთმეტე მომჩივანს 2012 წლის 17 მაისის მოვლენების დროს კონტრდემონსტრანტების მხრიდან მასზე განხორციელებულ თავდასხმის შესახებ არც ახსნა-განმარტება მიუცია და საკუთარი სახელით არც სისხლის

სამართლებრივი საჩივრით მიუმართავს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ორგანოებისთვის. გარდა ამისა, იგი არ უარყოფს მთავრობის პროტესტს, მსვლელობაში მისი მონაწილეობის კითხვის ქვეშ დაყენების შესახებ.

54. ასეთ ვითარებაში სასამართლო, უჭერს რა მხარს მთავრობის პროტესტს, მიიჩნევს, რომ მეთხუთმეტე მომჩივანი ვერ იქნება მიჩნეული 2012 წლის 17 მაისის მსვლელობის მონაწილედ, და მისი მტკიცება, რომ მსვლელობის დროს განხორციელებული დისკრიმინაციული მოპრყობის მსხვერპლს წარმოადგენს, დაუსაბუთებელია.

55. შესაბამისად, საჩივარი იმ ნაწილში, რომელიც მეთხუთმეტე მომჩივანს ეხება, ცალსახად დაუსაბუთებელია და 35-ე მე-3 (ა) და მე-4 მუხლების თანახმად უარი უნდა ეთქვას.

II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში

56. ცამეტი მომჩივანი ფიზიკური პირი (მეორედან მეთოთხმეტეს ჩათვლით) კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების საფუძველზე ასაჩივრებდა, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა ისინი კონტრდემონსტრანტების ძალადობრივი თავდასხმებისგან 2012 წლის 17 მაისის მშვიდობიანი მსვლელობისას ვერ დაიცვეს, და ითხოვდა მომხდარის სათანადო გამოძიებას, კერძოდ, თავდამსხმელების დისკრიმინაციული მოტივის დადგენას. მომჩივნების მიერ გასაჩივრებულ კონვენციის დებულებებში ვკითხულობთ:

მუხლი 3.

"არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას"

მუხლი 14.

"ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა."

57. მთავარობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივარი იყო უმეტესწილად დაუსაბუთებელი და გაზვიადებული. იმის ნაცვლად, რომ საკმარისად დეტალურად წარმოედგინათ, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი რა ვითარებაში გახდნენ, მომჩივნები ყურადღებას ამახვილებდნენ 2012 წლის 17 მაისის მსვლელობის ზოგად მოვლენებზე. კონტრ-დემონსტრანტებთან შეჯახების დროს მიღებულ მომჩივანთა სხეულის დაზიანების ხარისხთან, და ასევე ინციდენტთან

დაკავშირებულ სხვა გარემოებებთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ თუმცა გარკვეულ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცყოფას მომჩივნების მიმართ ადგილი ჰქონდა, მას მაინც არ მიუღწევია კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სიმძიმის ზღვრამდე. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მეექვსე და მეთოთხმეტე მომჩივნის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის ორი დამოუკიდებელი გამოძიება 2012 წლის 19 მაისს და 24 ოქტომბერს დაიწყო, და, რომ ამ დროისთვის გარკვეული საგამოძიებო სამუშაოები უკვე ჩატარებული იყო.

58. მომჩივნის იმ პრეტენზიის პასუხად რომ ამ ძალადობის უკან კონვენციის მე-14 მუხლის დამრღვევი დისკრიმინაციული მოტივი იდგა, მთავრობამ მხოლოდ ის განაცხადა, რომ ეს დამატებითი ნორმა გამოყენებული არ უნდა ყოფილიყო, რადგან მომჩივანი შესაბამისი მტკიცებულებების თუ სამხილების არქონით და ფიზიკური ძალადობის საკმარისი სიმძიმის არარსებობით, კონვენციის მე-3 მუხლის დებულებების მოხმობას ვერ ან ცუდად ასაბუთებდა და ფაქტობრივი მტკიცებულებებით გამყარებული, ან იყო უსაფუძვლო მოპყრობის სიმძიმის ხარისხიდან გამომდინარე, სახელმწიფო შემოიფარგლა მე-14 მუხლის დამატებით ბუნებაზე მითითებით.

59. ამაზე ცამეტმა მომჩივანმა, (მეორედან მეთოთხმეტე მომჩივნის ჩათვლით), დაეყრდნო რა 2012 წლის 17 მაისის ამსახველი ვიდეოს, უპასუხა მთავრობას, რომ ყველა ისინი ჩანაწერში როგორც მსვლელობის მონაწილეები არიან ასახულნი. ფიზიკური ძალადობის სიმძიმესთან დაკავშირებით მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ შესაბამისი და საკმარისი გარემოებების ერთობლიობა, ანუ - მათზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც აშკარად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციულ მოტივს შეიცავდა, და ამ ძალადობის აღსაკვეთად პოლიციის არყოფნა, - ოყო სახეზე, რამაც მათზე ძალადობის კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სიმძიმის ზღვარს მიაღწია. ამასთან, მეექვსე და მეთოთხმეტე მომჩივანზე თავდასხმის ფაქტზე ორი დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების უბრალოდ დაწყება მოპასუხე სახელმწიფოს მიერ არ ნიშნავს მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან გამოძიების წარმოების ვალდებულების შესრულებას, რადგან ეს გამოძიებები ჯერ კიდევ 2012 წლიდან რაიმე წინსვლის გარეშე მიმდინარეობს.

A. მისაღებობა

60. მთავრობა არ დავობს, რომ ცამეტი მომჩივანი ფიზიკური პირი (მეორედან მეთოთხმეტე მომჩივნის ჩათვლით) 2012 წლის 17 მაისის მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა და კონტრდემონსტრანტების სამიზნეს წარმოადგენდა. მართლაც,

აღნიშნულმა პირებმა წარადგინეს პირადი წერილობითი ახსნა-განმარტებები ინციდენტთან დაკავშირებული ზუსტი გარემოებების აღწერით, მათი მონაწილეობა ვიდეო კამერებმა გადაიღეს, და ასევე ყველა მათგანმა შეიტანა სისხლისსამართლებრივი საჩივარი შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებში (იხ. ზემოთ მე-10, მე-20 და 23-ე პარაგრაფები). ამ მხრივ, სასამართლოს შეუძლია, საქმეში არსებული მასალებიდან დაასკვნას, რომ წინამდებარე საქმის მიზნებისთვის მომჩივნების მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკმარისად დამაჯერებელი და გონივრულ ეჭვს მიღმა არის დადგენილი.

61. წარმოადგენდა თუ არა მომჩივანთა წინააღმდეგ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა დისკრიმინაციულ ქმედებას და მიაღწია თუ არა ამ ძალადობამ შესაბამისი სიმძიმის ზღვარს, ასევე ჩაატარა თუ არა შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა ინციდენტის ეფექტური გამოძიება, არის ის კითხვები, რომლებიც ფაქტებთან და კონვენციასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს წარმოშობს და საქმის არსებითად განხილვას საჭიროებს.

62. შესაბამისად, საჩივარი ამ ნაწილში არ შეიძლება, უკუგდებულ იქნას როგორც აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე. ვინაიდან საჩივარი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით, საჩივარი განსახილველად მიღებულად უნდა გამოცხადდეს.

B. არსებითი განხილვა

C.

1. საქმის გარემოებები

63. სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ვალდებულება აღკვეთოს ფიზიკური პირების მხრიდან სიძულვილის მოტივით განპირობებული ძალადობა, ასევე გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის ფაქტს შორის შესაძლო კავშირი, შეგვიძლია, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვის პროცედურულ მხარედ განვიხილოთ, მაგრამ ასევე შეგვიძლია, ხელისუფლების ეს ვალდებულება განვიხილოთ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის არდაშვების პოზიტიურ ვალდებულებად მე-3 მუხლის ფუნდამენტური ღირებულებების დასაცავად. ამ ორ დებულებას შორის ურთიერთკავშირის არსებობის გამო, ისეთი საკითხები, როგორც წინამდებარე საქმეში გხვდება, შესაძლოა მართლაც განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი ნორმის მიხედვით, მეორე ნორმასთან დაკავშირებული საკითხის წამოჭრის გარეშე, ან შესაძლოა მოითხოვდეს ერთდროულად ორივე ნორმის მიხედვით განხილვას. ეს არის საკითხი, რომლის გადაწყვეტა ყოველი საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან და გაკეთებული

ბრალდებების ხასიათიდან გამომდინარე უნდა მოხდეს (იხ. *Bekos and Koutropoulos v. Greece*, no. 15250/02, § 70, ECHR 2005-XIII (ამონარიდები); *B.S. v. Spain*, no. 47159/08, 59-63-ე პარაგრაფები, 2012 წლის 24 ივლისი; შედარებისთვის იხ. *Begheluri and Others v. Georgia*, no. 28490/02, 171-79-ე პარაგრაფები, 2014 წლის 7 ოქტომბერი). *Bekos and Koutropoulos v. Greece*, no. 15250/02, § 70, ECHR 2005-XIII (extracts); *B.S. v. Spain*, no. 47159/08, §§ 59-63, 24 July 2012; and compare with *Begheluri and Others v. Georgia*, no. 28490/02, §§ 171-79, 7 October 2014).

64. სასამართლო, წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, ითვალისწინებს რა მომჩივნების მიერ წამოყენებულ ბრალდებებს, - რომ მათზე განხორციელებულ ძალადობას ჰომოფობიური და ტრანსფობიური ქვეტექსტი ჰქონდა, რომელიც ფიზიკური ძალადობის საკმარისად მწვავე ფორმით გამოიხატა, ასევე იმას, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ დაიცვეს და ვერ გამოიძიეს მათზე განხორციელებული სიძულვილით განპირობებული ძალადობა, - მიიჩნევს, რომ საქმის განხილვისთვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნება, მომჩივნის პრეტენზიების ორმაგი შემოწმება და განხილვა ერთობლიობაში კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების მიხედვით.

2. ზოგადი პრინციპები

65. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ფიზიკური ძალადობა სიმძიმის მინიმალურ ზღვარს უნდა აღწევდეს, რათა მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოექცეს. მინიმალური ზღვრის დადგენა შედარებითია და დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ყველა გარემოებაზე, მათ შორის არის მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გავლენა და ზოგ შემთხვევებში დაზარალებულის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. *Costello-Roberts v. the United Kingdom*, 1993 წლის 25 მარტი, 30-ე პარაგრაფი, Series A no. 247-C). ამასთან, მე-3 მუხლის დებულებები არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკური ძალადობის აქტს; ის ასევე მოიცავს ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენებას. შესაბამისად, მოპყრობა (ფიზიკური ძალადობა) შესაძლოა, დამამცირებლად განვიხილოთ, როდესაც ის მსხვერპლში ისეთ შიშს, ტკივილს და არასრულფასოვნების შეგრძნებას იწვევს, რომელიც მას ამცირებს და შეურაცხყოფს (იხ. *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, 103-ე პარაგრაფი, 2010 წლის 1 ივნისი, და *remia v. the Republic of Moldova*, no. 3564/11, 54-ე პარაგრაფი, 2013 წლის 28 მაისი). ამასთან, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა, როგორც ასეთი, შესაძლოა, მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენდეს, თუ ასეთი მოპყრობა სიმძიმის ისეთ ზღვარს აღწევს, რომ ადამიანის ღირსების შელახვას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი, ისეთი მოპყრობა (ფიზიკური ძალადობა),

რომელიც ჰომოსექსუალური უმცირესობის წინააღმდეგ ჰეტეროსექსუალური უმრავლესობის დისკრიმინაციულ განწყობას ეფუძნება, შესაძლოა, თეორიულად მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში მოხვდეს (იხ. *Smith and Grady affront to human dignity*, 33985/96 და 33986/96, 121-ე პარაგრაფი, ECHR 1999-VI).

v. the United Kingdom, nos. 33985/96 and 33986/96, § 121, ECHR 1999-VI). დისკრიმინაციული გამონათქვამები და შეურაცხყოფა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ დამამძიმებელ გარემოებად, როდესაც მე-3 მუხლის ჭრილში ფიზიკური ძალადობის მოცემულ შემთხვევას ვიხილავთ. (იხ. *East African Asians v. the United Kingdom*, nos. 4403/70 et al., კომისიის 1973 წლის 14 დეკემბერის ანგარიში, გადაწყვეტილებები და მოხსენებები 78, გვ. 5 208-ე პარაგრაფი, და *Moldovan and Others v. Romania* (no. 2), nos. 41138/98 and 64320/01, 111-ე პარაგრაფი, ECHR 2005-VII (ამონარიდები)). 4403/70 et al., Commission's report of 14 December 1973, Decisions and Reports 78, p. 5, § 208, and *Moldovan and Others v. Romania* (no. 2), nos. 41138/98 and 64320/01, § 111, ECHR 2005-VII (extracts)). კონვენციის მე-3 მუხლით დაცული უფლების დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასებისას სამართლო იყენებს "გონივრულ ეჭვს მიღმა" მტკიცების სტანდარტს. ამგვარი მტკიცება უნდა ეფუძნებოდეს საკმარისად მტკიცე, აშკარა და თანხვედრ მტკიცებულებებს ანდა ფაქტის უტყუარ ვარაუდს (იხ. see *Farbtuhs v. Latvia*, no. 4672/02, 54-ე პარაგრაფი, 2004 წლის 2 დეკემბერი).

66. კონვენციის 1-ლი მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობაში აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მის იურისდიქციაში მყოფი ადამიანები მე-3 მუხლით აკრძალული ნებისმიერი ფიზიკური ძალადობისგან დაიცვას, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ფიზიკურ ძალადობას კერძო პირები ახორციელებენ (იხ. *A. v. the United Kingdom*, 23 September 1998, § 22, *მოხსენებები განაჩენებისა და გადაწყვეტილებების შესახებ* 1998-VI). ეს ვალდებულება უნდა მოიცავდეს ეფექტურ დაცვას მათ შორის კონკრეტული პირის ან პირების დაცვას მესამე პირთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებისგან, ასევე გონივრულ ზომებს რომ აღკვეთილ იქნას ფიზიკური ძალადობა, რომელიც ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო ან მათ ამის შესახებ უნდა სცოდნოდათ (იხ. მაგალითისთვის *T.M. and C.M. v. the Republic of Moldova*, no. 26608/11, 38-ე პარაგრაფი, 2014 წლის 28 იანვარი). ამასთანავე, მე-3 მუხლი ავალდებულებს ხელისუფლების ორგანოებს, სავარაუდო ფიზიკური ძალადობის ფაქტი ეფექტურად გამოიძიოს, მაშინაც, თუკი ფიზიკური ძალადობა კერძო პირების მიერ განხორციელდა (იხ. *M.C. v. Bulgaria*, no. 39272/98, 151-ე პარაგრაფი, ECHR 2003-XII). იმისათვის რომ გამოიძიება "ეფექტურად" ჩატარებულად მივიჩნიოთ, მან უნდა შესძლოს საქმეზე ფაქტების დადგენა და

პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და დასჯა.

ეს წარმოადგენს არა თავად გამოძიებით შედეგის მიღების ვალდებულებას, არამედ გამოძიების წარმართვის ვალდებულებას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს ხშირად შეუფასებია, მოახდინა თუ არა ხელისუფლებამ ინციდენტზე დროული რეაგირება. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის, რომ გამოძიება დაგვიანებით დაიწყო, ჩვენების ჩამორთმევა დაგვიანდა და წინასწარ გამოძიებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა (იხ. მაგალითისთვის *Stoica v. Romania*, no. 42722/02, 67-ე პარაგრაფი, 2008 წლის 4 მარტი).

67. ისეთი ძალადობრივი შემთხვევების გამოძიებისას როგორც ფიზიკური ძალადობა არის, სახელმწიფო ორგანოები ვალდებულია, ყველა გონივრულ ზომას მიმართოს, რათა გამოავლინოს შესაძლო დისკრიმინაციული განზრახვა, რაც, სასამართლო აღიარებს, რთული ამოცანაა.

მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, რომ გამოიძიოს ძალადობრივი აქტის შესაძლო დისკრიმინაციული საფუძველი, წარმოადგენს გამოსაძიებლად ყველა ღონის ხმარების ვალდებულებას და არ არის აბსოლუტური ვალდებულება. ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მოცემულ გარემოებაში ყველა გონივრული საშუალება, რომ შეაგროვოს და დაიცვას მტკიცებულებები, სიმართლის დასადგენად ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს, და საქმეზე დასაბუთებული, მიუკერძოებელი და ობიექტური გადაწყვეტილებები გამოიტანოს, ისეთი საექვო ფაქტების დაფარვის გარეშე, რომლებიც მიუთითებს ძალადობის რასობრივი თუ რეგილიური შეუწყნარებლობის, ან გენდერული დისკრიმინაციის საფუძველზე ჩადენას (იხ. *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos.43577/98 და 43579/98, 160-ე პარაგრაფი, ECHR 2005-VII; *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, 138-42-ე პარაგრაფები; და *Mudric v. the Republic of Moldova*, no. 74839/10, 60-64-ე პარაგრაფები, 2013 წლის 16 ივლისი). nos. 43577/98 and 43579/98, § 160, ECHR 2005-VII; *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, §§ 138-42; and *Mudric v. the Republic of Moldova*, no. 74839/10,

§§ 60-64, 16 July 2013). დისკრიმინაციული განზრახვით ჩადენილი ძალადობისა და სისასტიკის ფაქტების მიმართ ისეთივე დამოკიდებულება როგორც იმ საქმეებთან, რომლებიც დისკრიმინაციულ ქვეტექსტს არ შეიცავს, იქნებოდა თვალის დახუჭვა იმ ქმედებების სპეციფიკური ხასიათის მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. არსებითად განსხვავებულ შემთხვევებში ამ განსხვავების არხაზგასმა წარმოადგენს გაუმართლებელ და კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ მიდგომას (იხ. მაგალითისთვის, *Begheluri and Others*, ზემოაღნიშნული, 173-ე

პარაგრაფი).

3. აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის
ფაქტიური გარემოებების მიმართ

(ა) მიაღწია თუ არა მომჩივნებზე განხორციელებულმა თავდასხმამ
კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სისასტიკის
მინიმალურ ზღვარს მე-14 მუხლთან ერთობლიობაში

68. საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) ადამიანების უფლებების შესახებ სხვადასხვა ანგარიშის გათვალისწინებით (იხ. ზემოთ 37-39-ე პარაგრაფები), სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს პირები დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან. ლგბტ პირების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება წარმოადგენს მეტ-ნაკლებად გავრცელებულ მიდგომას ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებში. ეს უარყოფითი დამოკიდებულება განსაკუთრებით ნათელია იმ ფონზე, როდესაც 2012 წლის 17 მაისის ინციდენტს დისკრიმინაციული შეფერილობა ჰქონდა და მომჩივნები, როგორც დისკრიმინაციის სამიზნე ჯგუფი, დაუცველნი აღმოჩნდნენ.

69. და მართლაც, ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული მსვლელობის მონაწილეთა, მათ შორის მყოფ ცამეტ მომომჩივნსა და ორ რელიგიურ ჯგუფს - "მართლმადიდებელ მშობელთა კავშირსა" და "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სამმოს"- შორის მომხდარი დაპირისპირების დროს, ეს უკანასკნელნი მიმართავდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას მომჩივნებს მიმართ, მათთვის "პიდარასტების", "გარყვნილების" და ა.შ. წოდებით. კონტრდემონსტრანტების რეპლიკების ჰომოფობიური კონტექსტი ასევე აშკარა იყო, როდესაც ლგბტ დროშებისა და პლაკატების ზიზღით დახევა და განადგურება მოხდა. ამ ქმედებების გარდა, განრისხებულმა კონტრდემონსტრანტებმა დაიწყეს მომჩივნების და სხვა დემონსტრანტების მიმართ სერიოზული მუქარის გამოყენება, მათ შორის იყო სიცოხლის მოსპობის როგორც არის "გასრესის" და "ცოცხლად დაწვის" მუქარა. სიტყვიერ თავდასხმას მოჰყვა რეალური ფიზიკური თავდასხმა რამდენიმე მომჩივანზე.

70. ასეთ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხი, მიადგა თუ არა მომჩივნებს სხეულის გარკვეული სიმძიმის დაზიანება, ნაკლებად რელევანტურია. ცამეტივე მომჩივანი ფიზიკური პირი გახდა სიძულვილის ენის და აგრესიის სამიზნე, და ამ ფაქტს მთავრობა სადავოდ არ ხდის (იხ. ზემოთ, მე-60 პარაგრაფი). იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნები ადამიანების განრისხებული ბრბოთი იყვნენ გარშემორტყმულნი, რომელიც მათ რაოდენობით აღემატებოდა და სიკვდილით ემუქრებოდა, ხოლო შიგადაშიგ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადიოდა, რაც განხორციელებული მუქარის რეალურ ხასიათზე, და აშკარა ჰომოფობიური დისკრიმინაციული ფაქტორის დამამძიმებელ გარემოებაზე მეტყველებს, (იხ. ზემოთ აღნიშნული *Smith and Grady*, 121-ე პარაგრაფი; *Abdu*, ზემოთ აღნიშნული, 23-ე პარაგრაფი; and

Begheluri and Others, ზემოთ აღნიშნული, 107-ე და 117-ე პარაგრაფები), არსებული სიტუაცია უკვე საკმარისი იყო, რომ ძლიერი შიში და მღელვარება აღედგა. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების მიზანს აშკარად წარმოადგენდა მომჩივნების დაშინება, რათა მათ შეეწყვიტათ ლგბტ საზოგადოების მიმართ თავიანთი მხარდაჭერის საჯარო გამოხატვა (შედარებისთვის იხ: *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others*, ზემოთ აღნიშნული, 105-ე პარაგრაფი). მომჩივნების ემოციური მდგომარეობა კიდევ უფრო უნდა დაემძიმებინა იმ ფაქტს, რომ პოლიციის დაცვა, რომელიც მათთვის მსვლელობის დაწყებამდე იყო შეპირებული, დროულად და ადექვატურად არ იქნა უზრუნველყოფილი (იხ. ასევე მომდევნო 73-ე, 89-ე და 99-ე პარაგრაფები).

71. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნების მიმართ განხორციელებული მოპყრობა მათში შიშის, ტანჯვისა და დაუცველობის გამომწვევი იყო, რაც ადამიანის ღირსების დაცვას არ შეესაბამება და, რამაც კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევის სიმძიმის ზღვარს მიაღწია მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

(b) მოახდინეს თუ არა სახელმწიფო ორგანოება მომჩივნების სათანადო დაცვა

72. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და პოლიციის ორგანოები შესაბამისად ინფორმირებულნი იყვნენ ლგბტ საზოგადოების მიერ თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე მსვლელობის გამართვის განზრახვის შესახებ. მსვლელობის ორგანიზატორებმა კონკრეტულად მოითხოვეს, რომ პოლიციას ჰომოფობიური და ტრანსფობიური იდეოლოგიის მქონე მოსახლეობის მოსალოდნელი პროტესტისგან მათი დაცვა უზრუნველჰყო. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ლგბტ საზოგადოების მიმართ მტრული დამოკიდებულების წარსულს (იხ. ზემოთ პარაგრაფები 37-39), სასამართლო მიიჩნევს რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო იმ რისკების შესახებ, რომელიც საზოგადოების აღნიშნული მოწყვლადი ჯგუფის მიერ საჯარო მსვლელობის ჩატარებას უკავშირდებოდა, შესაბამისად ჰქონდათ გამლიერებული სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება (იხ. შედარებისთვის *mutatis mutandis, Milanović v. Serbia*, no. 44614/07, 84-ე და 89-ე პარაგრაფები, 14 December 2010; *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, ზემოთ აღნიშნული 96-ე პარაგრაფი; და *Begheluri and Others*, ზემოთ მოყვანილი 113-ე და 119-ე პარაგრაფები).

73. თუმცა, მიუხედავად მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებისა შეექმნა მშვიდობიანი დემონსტრანტებისთვის კერძო პირებისგან დაცვის მაღალი სტანდარტი, სასამართლო აღნიშნავს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც თავიდანვე გაემიჯნენ

აქციაზე მყოფ დემონსტრანტებს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სიტყვიერი თავდასხმების დაწყების მომენტიდან, საშუალებას აძლევდა დამაბულობას გადაზრდილიყო ფიზიკურ დაპირისპირებაში. იმ დროს როდესაც საბოლოოდ პოლიციის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ჩარევა, მომჩივნები და სხვა მონაწილეები უკვე შეურაცხყოფილები იყვნენ სიტყვიერად და ფიზიკურადაც კი (იხ. შედარებისთვის *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others*, ზემოთ აღნიშნული, 111-ე პარაგრაფი). ასევე, ნაცვლად იმისა რომ დაეკავებინათ კონტრ-დემონსტრანტებიდან ყველაზე აგრესიული პირები, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მშვიდობიანი მსვლელობის გაგრძელება, დაგვიანებული პოლიციის ჩარევა გამოიხატა იმ მომჩივნების დაკავებასა და ევაკუაციაში, რომლებიც თავად წარმოადგენდნენ მსხვერპლს და უნდა ყოფილიყვნენ დაცული.

74. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ცამეტი მომჩივნის ადექვატური დაცვა 2012 წლის 17 მაისს კერძო პირების მიერ განხორციელებული სიძულვილით განპირობებული თავდასხმისგან.

(c) განხორციელდა თუ არა მომხდარი ინციდენტის ეფექტური გამოძიება

75. სასამართლომ აღნიშნა, რომ მსვლელობის მონაწილეთა, მათ შორის ცამეტი მომჩივნის მიერ, სისხლისსამართლებრივი საჩივრები კონტრდემონსტრანტების მიერ არასათანადო მოპყრობასა და ძალადობის მიმართ პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით, შეტანილ იქნა ინციდენტის მომდევნო დღესვე - 2012 წლის 18 მაისს. შედეგად ყველა მომჩივანმა კვლავ მოითხოვა 2012 წლის 3 და 5 ივლისს ზემოაღნიშნულ ორ ფაქტთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ 20-ე და 23-ე პარაგრაფები) გამოძიების დაწყება. მიუხედავად ამისა, შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანომ, მომჩივნებთან დაკავშირებული ინციდენტის გარემოებების ამომწურავი და მნიშვნელოვანი გამოძიების დაწყების სანაცვლოდ, გაურკვეველი მიზეზებით შეამცირეს გამოძიების ფარგლები და აღძრეს ურთიერთდამოუკიდებელი საქმეები მხოლოდ ორი მომჩივნისთვის მიყენებულ სხეულის დაზიანების ფაქტზე. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმის ორ დამოუკიდებელ გამოძიებას ორი წელზე მეტი ხნის მანძილზე, რაიმე შედეგი არ მოუტანია. გამოძიების წარმოება კვლავ საწყის ეტაპზეა და მომჩივნებს ჯერ კიდევ დაზარალებულის სტატუსიც კი არ მინიჭებიათ (იხ. ზემოთ, 28-ე პარაგრაფი, და შედარებისთვის ზემოთ აღნიშნული *Begheluri and Others*, 134-36-ე პარაგრაფები). ერთადერთი შედეგი დადგა მხოლოდ ორი კონტრდემონსტრანტისთვის ადმინისტრაციული სანქციის დაკისრებით, რაც გამოიხატა მათი დასჯით საზოგადოებრივი წესრიგის უმნიშვნელო დარღვევისთვის გამოწერილი ჯარიმით, თითოეული 45 ევროს ოდენობით (იხ. ზემოთ, 22-ე პარაგრაფი). თუმცა, მომჩივნების მიმართ განხორციელებული გაუმართლებელი ძალადობის დონისა და აგრესიის გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ასეთი მსუბუქი ადმინისტრაციული სანქცია საკმარისია, რათა სახელმწიფომ მოიხადოს თავისი პროცედურული ვალდებულება კონვენციის მე-3 მუხლთან შესაბამისობაში.

76. იმ ძალადობრივ აქტებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების შედეგად, რომლებიც განხორციელდა მომჩივანთა მიმართ, სასამართლო მიიჩნევს რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული არაერთი ნორმა უფრო მიზანშეწონილ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ძალადობრივი აქტების შესახებ სისხლისსამართლებრივი გამოძიების დასაწყებად, მაგალითად როგორც არის ცემა (125-ე მუხლი), მუქარა სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანებაზე (151-ე მუხლი) და შეკრების და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა (161-ე მუხლი) (იხ. ზემოთ, 31-ე, 34-ე და 35-ე პარაგრაფები). გარდა ამისა, შესაძლებელი იყო გამოძიების პროცესში ეჭვმიტანილ თავდამსხმელთა ვინაობის გამოვლენა. პირველ რიგში, უკვე ცნობილ ფაქტს წარმოადგენდა, რომ წარმომადგენლები

რელიგიური ორგანიზაციებიდან - "მართლმმადიდებელ მშობელთა კავშირი" და "წმინდა მეფე ვახტანგ გორგალის სახელობის სამმო" - მონაწილეობას იღებდნენ კონტრ-დემონსტრაციაში. ასევე შეტაკების ვიდეო ჩანაწერები აღბეჭდავენ ამ ორი რელიგიური ჯგუფიდან ყველაზე აგრესიული თავდამსხმელების მკაფიო გამოსახულებებს (შედარებისთვის იხ. *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others*, ზემოთ აღნიშნული; 118-ე პარაგრაფი; და ასევე *Begheluri and Others*, 137-38-ე პარაგრაფები).

77. რაც მთავარია, ადგილობრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობა გარკვევით უთითებს, რომ სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული ნიშნით განპირობებული დისკრიმინაცია წარმოადგენს პირად მოტივს და დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას (იხ. ზემოთ, 29-ე პარაგრაფი). აქედან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ აუცილებელი იყო შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ჩაეტარებინათ გამოძიება ამ მიმართულებით, მიეღოთ ყველა გონივრული ზომა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული ჰომოფობიური მოტივის როლის გამოვლენის მიზნით. აუცილებელი იყო 2012 წლის 17 მაისს განხორციელებული თავდასხმის დისკრიმინაციული საფუძვლის შესახებ სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, ერთი მხრივ, ლგბტ საზოგადოების მიმართ არსებული მტრული დამოკიდებულებისა და, მეორე მხრივ, თავდამსხმელების მიერ წარმოთქმული ცალსახად ჰომოფობიური სიტყვიერი შეურაცხყოფის მიზეზის დასადგენად. სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მართლმსაჯულების აღსრულების მიმართ ასეთი მკაცრი მიდგომის გარეშე დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების ჩვეულებრივი დანაშაულების, ანუ რომელსაც დისკრიმინაციული მოტივი არ გააჩნია, რიგად იქნება განხილული, რაც სიძულვილით განპირობებულ დანაშაულებზე ოფიციალური ან თუნდაც მასზე დუმილით გამოხატული ოფიციალური თანხმობის ტოლფასი იქნება.

78. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა არ ჩაატარეს სათანადო გამოძიება ცამეტი მომჩივნის მიერ ფიზიკურ ძალადობის შესახებ გაკეთებულ ბრალდებებზე.

(d) დასკვნა

79. მთელი მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით სასამართლო იმეორებს თავის დასკვნას, რომ 2012 წლის 17 მაისს გამართული ჰომოფობიის საწინააღმდეგო დღისადმი მიძღვნილი მსვლელობის დროს მომჩივნებზე განხორციელებული თავდასხმა წაქეზებული იყო მათ მიერ, ვისაც საქართველოში ლგბტ თემის მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვთ. ამასთან, ეს ძალადობა, რომელიც ძირითადად სიძულვილის ენით და სერიოზული მუქარით,

და შიგადაშიგ ფიზიკურ ძალადობით გამოიხატებოდა, რაც მუქარას რეალურს ხდიდა და ცამეტზე მომჩივანში შიშს, დამაბულობასა და უსაფრთხოების განცდას აღძრავდა, საკმარისი საფუძველია მე-3 მუხლით მე-14 მუხლთან ერთობლიობაში დადგენილი სისასტიკის ზღვრის მისაღწევად.

80. საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან სექსუალური უმცირესობების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, და ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსვლელობის ორგანიზატორის მხრიდან პოლიცია წინასწარ იყო გაფრთხილებული მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, სამართალდამცავი ორგანოებს ჰქონდა ცალსახა პოზიტიური ვალდებულება დაეცვათ დემონსტრაციის მონაწილენი, მათ შორის მომჩივნები, რაც მათი მხრიდან არ განხორციელდა. და ბოლოს, ხელისუფლების ორგანოებს წარმოეშვათ პროცედურული ვალდებულება გამოეძიათ 2012 წლის 17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებული სამართალდარღვევები, სიძულვილით განპირობებულ მოტივისა და ჰომოფობიური ძალადობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების გამოამკარავების აუცილებლობის ხაზგასმით. სრულფასოვანი გამოძიების არ არსებობის შემთხვევაში რთული იქნება მოპასუხე ქვეყნისთვის, რომ უზრუნველჰყოს სამომავლოდ შესაბამისი ზომები მსგავსი მშვიდობიანი დემონსტრაციების დაცვის მიზნით, რაც სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მიმართ საზოგადოების ნდობას ძირს უთხრის.

81. ამგვარად სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარი საქმეში დაირღვა მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

II. კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების სავარაუდო დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში

82. პირველმა მომჩივანმა იდენტობამ და ცამეტმა ფიზიკურმა პირმა (მეორედან მეთოთხმეტე მომჩივნის ჩათვლით) იჩივლეს კონვენციის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლების საფუძველზე, რომ მათ არ ჰქონდათ მშვიდობიანი მსვლელობის გაგრძელების შესაძლებლობა მათზე დისკრიმინაციული მოტივით განპირობებული თავდასხმებისა და პოლიციის მხრიდან უმოქმედობის შედეგად. კონვენციის აღნიშნულ მუხლებში ვკითხულობთ:

მუხლი 10.

"1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები... სახელმწიფო ხელისუფლების

ორგანოების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ...

2. ამ თავისუფლების განხორციელება, რამდენადაც ის შესაბამის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს მოიცავს, შესაძლებელია, ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს დაექვემდებაროს, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული და დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან კრიმინალის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დასაცავად არის აუცილებელი ...

მუხლი 11.

"1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე. .

2. დაუშვებელია ამ უფლებათა განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კანონით არის გათვალისწინებული დადემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, უწესრიგობის ან კრიმინალის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დასაცავად არის აუცილებელი. ..."

მუხლი 14.

"ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა."

A. მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

83. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებს სამართლებრივი დაცვის ყველა რელევანტური, შიდასახელმწიფოებრივი საშუალება მშვიდობიანი დემონსტრაციის გაგრძელების შეუძლებლობასთან დაკავშირებით საჩივრელად არ ამოუწურავთ. შესაბამისად, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ პოლიციამ კონტრდემონსტრანტებისგან მათი ადექვატური დაცვა ვერ უზრუნველყო, მათ უფლება ჰქონდათ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროსგან შესაბამისი კომპენსაცია მოეთხოვათ.

ვინაიდან მომჩივნებმა სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ამ საშუალებას არ მიმართეს, მათი საჩივრები დაუშვებელია კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების, და ასევე მე-14 მუხლთან კავშირში, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.

84. მომჩივნები არ დაეთანხმნენ. მათ განაცხადეს, რომ სიხლისსამართლებრივი საჩივრები, რომელიც მათ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების ხელყოფასთან დაკავშირებით წარადგინეს, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნის მიზნებისათვის საკმარისი იყო.

2. სასამართლოს შეფასებები

85. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის მოთხოვნა მომჩივნის მხრიდან იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებებისთვის მიმართვას გულისხმობს, რომლებიც სავარაუდო დარღვევასთან არის დაკავშირებული და ამავდროულად, ხელმისაწვდომი და საკმარისია. ამ წესის გამოყენებისას აუცილებელია, შესაბამისი გარემოებები იქნას გათვალისწინებული. 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი გამოიყენება გარკვეული ხარისხის მოქნილობით, გადაჭარბებული ფორმალურობის გარეშე (იხ. *Cardot v. France*, 1991 წლის 19 მარტი, § 34, სერია "A" No. 200). შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის წესი არც აბსოლუტურია და არც ავტომატურად გამოყენებადი; იმაზე მსჯელობისას, დაცული იყო თუ არა აღნიშნული წესი, აუცილებელია ინდივიდუალური საქმის ცალკეული გარემოებების მხედველობაში მიღება (იხ. *Van Oosterwijck v. Belgium*, 1980 წლის 6 ნოემბერი, § 35, სერია "A" No. 40).

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი ფიზიკური პირების საჩივრები კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებიდან გამომდინარე იმავე ფაქტებს ეყრდნობა, რასაც საჩივარი მე-3 მუხლის შესახებ, კონკრეტულად, კონტრდემონსტრანტების თავდასხმებსა და პოლიციის მხრიდან დაცვის ნაკლებობას. ამასთან დაკავშირებით, მიუთითა რა შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ თუ მძიმე დანაშაულებრივი ქმედებები ადამიანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ არის მიმართული, მაშინ მხოლოდ ეფექტურ სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს შეუძლია, ადეკვატური დაცვის უზრუნველყოფა და შემაკავებელი ფაქტორის ფუნქციის შესრულება (იხ. მაგალითად, *M.C. v. Bulgaria*, No. 39272/98, § 50, ECHR 2003-XII; *Sandra Janković v. Croatia*, No. 38478/05, § 36, 2009 წლის 5 მარტი; და *August v. the United Kingdom* (dec.), No. 36505/02,

2003 წლის 21 იანვარი). სწორედ ასეა საქმე, მოცემული საქმის შემთხვევაშიც, როდესაც მომჩივნების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე თავდასხმის უკან დისკრიმინაციული მოტივის არსებობა უნდა დადგინდეს. სისხლის სამართლის კანონმდებლობა, და განსაკუთრებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას (იხილეთ ზემოთ, 77-ე პარაგრაფი).

87. ვინაიდან მომჩივანმა ორგანიზაციამ და ცამეტმა მომჩივანმა ფიზიკურმა პირმა სისხლისსამართლებრივი მექანიზმი სათანადოდ გამოიყენეს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მათ მათთვის ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის რელევანტური საშუალებები ამოწურეს და ალტერნატიული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ძებნის აუცილებლობა აღარ არსებობდა. შესაბამისად, მთავრობის პროტესტი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

88. სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობით ამკარად უსაფუძვლო არ არის, და არც რაიმე სხვა მიზეზით არის დაუშვებელი. მამასადაძამე, საჩივარი დაშვებულად გამოცხადდა.

B. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

89. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების მშვიდობიანი შეკრების უფლება და გამოხატვის თავისუფლება არ დარღვეულა, ვინაიდან ქვეყნის შიდა ხელისუფლების ორგანოებს მათთვის ხელი არანაირად შეუშლიათ. პირიქით, მომჩივნებს და დემონსტრაციის სხვა მონაწილეებს ჰქონდათ ქალაქის საკონცერტო დარბაზთან შეკრებისა და მსვლელობის შესაძლებლობა. შეკრების ორგანიზატორის წინასწარი გაფრთხილების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მობილიზაცია გაუკეთა შემთხვევის ადგილას პოლიციის დანაყოფებს. პოლიციის საპატრულო სატრანსპორტო საშუალებებმა უზრუნველჰყვეს ლგბტ მსვლელობის მონაწილეთა ექსკორტირება. მთავრობამ აღნიშნა, რომ პოლიციის რეაგირება მსვლელობის მონაწილეთა და კონტრ-დემონსტრანტებს შორის შეტაკებაზე გარკვეულწილად დაგვიანებული იყო. მიუხედავად ამისა, მათ განაცხადეს, რომ ეს რეაგირება მსვლელობის მონაწილეთა ინტერესებს ემსახურებოდა. შესაბამისად, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ძალადობრივი კონტრ-დემონსტრაციის სერიოზული საფრთხის შემთხვევაში, შეკრების დაცვის უზრუნველყოფის საშუალებების არჩევისას ქვეყნის შიდა ხელისუფლება ფართო დისკრეციით სარგებლობს. მთავრობამ მიუთითა პრეცედენტულ სამართალზე საქმეში *Plattform "Ärzte für das Leben"* (იხ. ზემოთ, 34-ე პარაგრაფი). კონტრ-დემონსტრანტების დიდი რაოდენობისა და დემონსტრანტების მიმართ მათი

აგრესიული დამოკიდებულების გათვალისწინებით, პოლიციის დაუყოვნებელ, პრევენციულ ზომებს შესაძლოა, უფრო მეტი ძალადობა გამოეწვია. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავები რჩებოდნენ შემთხვევის ადგილზე და, როდესაც ხალხი სიტყვიერი შეურაცხყოფიდან მომჩივნების ფიზიკურ ძალადობაზე გადადიოდა, დაუყოვნებლივ განარიდებდნენ მომჩივნებს შემთხვევის ადგილიდან. პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკურად შუაში ჩადგომით გააშველეს მოწინააღმდეგე მხარეები და ზეპირად აფრთხილებდნენ მათ, სათანადოდ მოქცეულიყვნენ. მომჩივნების საჩივრის კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნებთან დაკავშირებით, მთავრობა თავის პასუხში მხოლოდ იმ არგუმენტით შემოიფარგლა, რომ აღნიშნული მუხლი იყო მხოლოდ დამხმარე ნორმა და მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევის არარსებობისას მისი ავტონომიურად მოხმობა შეუძლებელი იყო.

90. საპასუხოდ, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის ქმედებები არასაკმარისი იყო დემონსტრანტების აგრესიისგან დასაცავად, რაც მოტივირებული იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით და შედეგად, მშვიდობიანი დემონსტრაცია ჩაიშალა. მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივ სახელისუფლებო ორგანოებს მშვიდობიანი დემონსტრაციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო საშუალებების არჩევისას უდავოდ აქვთ შეფასების გარკვეული დისკრეცია, მოცემული საქმის გარემოებები ცხადყოფს, რომ პოლიციის ქმედებები შეტაკებების ადგილას იყო სრულიად არაადეკვატური და არღვევდა მომჩივნების უფლებებს კონვენციის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლების შესაბამისად.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) მომჩივნების მოთხოვნების ფარგლები

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნების მოთხოვნები კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებიდან გამომდინარე ეფუძნება მტკიცებას, რომ ფიზიკური პირების მიერ მომჩივნებზე თავდასხმებმა, ძალადობის საპასუხოდ პოლიციის პასუხისმგებლობასთან ერთად, ჩაშალა მათი მშვიდობიანი დემონსტრაცია. ასეთ გარემოებებში, მე-11 მუხლი უნდა განიხილებოდეს, როგორც *lex specialis* და საჩივრის მე-10 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნის განხილვა განცალკევებით საჭირო არ არის. მეორე მხრივ, ავტონომიური როლისა და გამოყენების განსაზღვრული სფეროს მიუხედავად, მოცემულ საქმეში, საჭიროების შემთხვევაში, მე-11 მუხლი მე-10 მუხლში განვითარებული პრინციპების ჭრილში უნდა იქნეს განხილული (იხ. მაგალითად, *Ezelin v. France*, 1991 წლის 26 აპრილი, §§ 35 და 37, სერია "A" No. 202).

92. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული საქმის ფაქტები კონვენციის მე-11 მუხლის ფარგლებში ჯდება, მომჩივნები

აცხადებენ, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებაზე მათი უფლების დარღვევის უკან დისკრიმინაციული მოტივი არსებობდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში მე-14 მუხლიც მსგავსად გამოყენებადია (იხ. *Van Raalte v. the Netherlands*, 1997 წლის 21 თებერვალი, § 33, *Reports of Judgments and Decisions* 1997-I), და მისი განხილვა წინამდებარე დებულების თანახმად, უნდა მოხდეს ამ უკანასკნელთან ერთობლიობაში.

(b) ზოგადი პრინციპები

93. კონვენციის მე-11 მუხლის კონტექსტში, სასამართლო ხშირად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პლურალიზმი და დემოკრატია მრავალფეროვნების ჭეშმარიტ აღიარებასა და პატივისცემას ეფუძნება. განსხვავებული იდენტობის პირებისა და ჯგუფების ჰარმონიული ინტერაქცია აუცილებელია საზოგადოებრივი ერთობის მისაღწევად (იხ. *Gorzelik and Others v. Poland* [GC], No. 44158/98, § 92, 2004 წლის 17 თებერვალი). "დემოკრატიული საზოგადოების" განმასხვავებელ ნიშნებზე მითითებით, სასამართლომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა პლურალიზმს, ტოლერანტულობასა და ლიბერალურ მსოფლმხედველობას. ამ კონტექსტში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური ინტერესები ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფის ინტერესებზეა დამოკიდებული, დემოკრატია ყოველთვის უბრალოდ უმრავლესობის უპირატესობას არ გულისხმობს: აუცილებელია ბალანსი, რომელიც უმცირესობისადმი სამართლიან და სათანადო მოპყრობას უზრუნველყოფს და ირიდებს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას (იხ. *Young, James and Webster v. the United Kingdom*, 1981 წლის 13 აგვისტო, სერია "A" No. 44, გვ. 25, § 63; *Sørensen and Rasmussen v. Denmark* [GC], No. 52562/99 და 52620/99, § 58, ECHR 2006-I, და *Fáber v. Hungary*, No. 40721/08, §§ 37-41, 2012 წლის 24 ივლისი).

94. სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს, როგორც პლურალიზმის, ტოლერანტულობის და ლიბერალური მსოფლმხედველობის საბოლოო გარანტი (იხ. *Informationsverein Lentia and Others v. Austria*, 1993 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია "A" No. 276, გვ. 16, § 38). შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებამდე ჩაურევლობის თაობაზე: სრულიად ნეგატიური კონცეფცია კონვენციის მე-11 მუხლის განზრახვას და მიზანს არ ესადაგება. ეს დებულება ზოგჯერ პოზიტიური ზომების გატარებას მოითხოვს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ურთიერთობების სფეროშიც კი (იხ. *Wilson and the National Union of Journalists and Others v. the United Kingdom*, No. 30668/96, 30671/96 და 30678/96, § 41, ECHR 2002-V, და *Ouranio Toxo v. Greece*, no. 74989/01, 2005 წლის 20 ოქტომბერი, § 37). ეს პოზიტიური ვალდებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ არაპოპულარული

შეხედულებები ან მიეკუთვნებიან უმცირესობებს უფრო ძლიერი მოწყვლადობის გამო (იხ. *Bączkowski and Others v. Poland*, No. 1543/06, § 64, 2007 წლის 3 მაისი).

95. მშვიდობიანმა დემონსტრაციამ შესაძლებელია გააღიზიანოს ან გაანაწყენოს ადამიანები, რომლებიც იმ იდეების ან განცხადებების წინააღმდეგ არიან განწყობილნი, რომელთა ხელშეწყობასაც დემონსტრაცია ისახავს. ნებისმიერ შემთხვევაში, მონაწილეებს, სახელმწიფოს ხელშეწყობით, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ ოპონენტებისგან ფიზიკური ანგარიშსწორების შიშის გარეშე გამართონ დემონსტრაცია; ასეთ შიშს შეუძლია შეაკავოს გაერთიანებები ან საერთო იდეების და ინტერესების მხარდამჭერი სხვა ჯგუფები საზოგადოებაზე გავლენის მქონე ძალიან საკამათო საკითხებზე თავიანთი აზრის ღიად გამოხატვისაგან. დემოკრატიაში კონტრ-დემონსტრაცია არ შეიძლება გადაიზარდოს დემონსტრაციის უფლების განხორციელების შეფერხებაში (იხ. *Plattform "Ärzte für das Leben"*, მითითებული ზემოთ, 32-ე პარაგრაფში).

96. და ბოლოს, სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე დისკრიმინაციის აკრძალვა ჯეროვნად ფარავს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებს (იხ. *Salgueiro da Silva Mouta v. Portugal*, No. 33290/96, § 28, ECHR 1999-IX; *Alekseyev v. Russia*, No. 4916/07, 25924/08 და 14599/09, § 108, 2010 წლის 21 ოქტომბერი; და *P.V. v. France*, No. 38305/97, § 37, 2000 წლის 14 ნოემბერი).

(c) აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემული საქმის გარემოებებში

97. უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს საკითხი არ არის სადავო მხარეებს შორის, სასამართლო ადასტურებს, რომ 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ მშვიდობიან მარშში მომჩივნების მონაწილეობის ჩაშლა უდავოდ წარმოადგენდა ჩარევას კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, მე-10 მუხლის რელევანტური პრინციპების ჭრილში. მართლაც, კონვენცია იცავს გამოხატვის საჯარო ფორმებს, მათ შორის მშვიდობიან შეკრებასა და შეხედულების გამოხატვას სხვადასხვა სექსუალური უმცირესობების ფუნდამენტურ უფლებებზე ცნობიერების ამაღლებითა და მხარდამჭერი კამპანიით (იხ. *Alekseyev*, მითითებული ზემოთ, 84-ე პარაგრაფში).

98. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნების საჩივრის მოთხოვნები, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათი 2012 წლის 17 მაისის მარშში მონაწილეობის თავისუფლების დაცვა დისკრიმინაციით მოტივირებული ძალადობისგან, გამომდინარეობს იმავე ფაქტობრივი გარემოებებიდან, რომლებიც სასამართლომ უკვე გამოიკვლია კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში (იხ. ზემოთ, 68-81 პარაგრაფები). შედეგად, სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმების

შესაბამისად გაკეთებული დასკვნები თანაბრად რელევანტურია საჩივრის მე-11 და მე-14 მუხლებიდან გამომდინარე მოთხოვნების გამოკვლევისთვის.

99. კერძოდ, სასამართლო ხელმეორედ აღნიშნავს, რომ 2012 წლის 8 მაისს შიდასახელმწიფოებრივი სახელისუფლებო ორგანოების გაფრთხილების მიუხედავად, 2012 წლის 17 მაისს მშვიდობიანი მარშის ორგანიზების განზრახვის თაობაზე, მათ ვერ მოახერხეს ცხრა დღიანი პერიოდის ზუსტი მოსამზადებელი სამუშაოებისათვის გამოყენება. მართლაც, სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან ან მათ უნდა სცოდნოდათ მოსალოდნელი დამაბულობის რისკები, რომლებიც დაკავშირებული იყო მომჩივანი ორგანიზაციის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ გარე მსვლელობასთან. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება (შედარებისთვის იხ. *Ouranio Toxo*, მითითებული ზემოთ, 42-ე პარაგრაფში) ისევე როგორც, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე. გარდა ამისა, ლგბტ პროცესის შედეგიდან ცხადი იყო, რომ დემონსტრაციის ადგილას განთავსებული საპატრულო პოლიციელების რიცხვი არასაკმარისი იყო. ქუჩის შეტაკებების მოსალოდნელობის გათვალისწინებით, შიდა-სახელმწიფო სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან წინდახედული იქნებოდა მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც უზრუნველყოფილი იქნებოდა უფრო მეტი პირადი შემადგენლობა, მაგალითად, პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის მობილიზებით (განსხვავებით საქმისგან *Plattform "Ärzte für das Leben"*, §§ 37 და 38; და ასევე *Ouranio Toxo*, იხ. ზემოთ, 43-ე პარაგრაფი).

100. საბოლოო ჯამში, სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა-სახელმწიფოებრივმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ჰომოფობიური და ძალადობრივი კონტრ-დემონსტრანტების სათანადოდ შეკავება და 2012 წლის 17 მაისის მარშის მშვიდობიანი ჩატარება, რომელიც, თავის მხრივ, ორგანიზებული იყო პირველი მომჩივანის მიერ და რომელშიც ცამეტი ინდივიდუალური მომჩივანი მონაწილეობდა (მეორედან მეთოთხმეტემდე). ამ წინდაუხედავობის გათვალისწინებით, სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული თავიანთი პოზიტიური ვალდებულება, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

101. მესამე, მეექვსე, მეშვიდე და მეათე მომჩივნებმა (ბ-ნი ლ. ბერიანიძე, ბ-ნი გ. დემეტრაშვილი, ქ-ნი გ. ძერყორაშვილი და ქ-ნი მ. კალანდაძე) განაცხადეს, რომ ძალდატანებით პატრულის სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებითა და ჩაშლილი დემოსტრაციის ადგილიდან ევაკუაციით, პოლიციამ გაუმართლებლად შეზღუდა მათი ფიზიკური თავისუფლება, რაც კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

102. გარდა ამისა, ცამეტივე ინდივიდუალურმა მომჩივანმა განმეორებით დააფიქსირა საჩივრის მოთხოვნა, რაც ეხებოდა მარშის მსვლელობისას მათზე თავდასხმასა და პოლიციის მხრიდან დაცვის ნაკლებობას კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად, როგორც ცალკეულად, ასევე მე-13 და მე-14 მუხლებთან ერთობლიობაში. მათ ასევე განმეორებით დააფიქსირეს საჩივრის მოთხოვნა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი გამოძიების არაეფექტურობის შესახებ, კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად.

103. მთავრობამ განაცხადა, რომ რელევანტური მომჩივნების საჩივრები მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის შესაბამისად, აღებული ცალკეულად ან კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებთან ერთობლიობაში, იყო დაუშვებელი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების არამოწურვის, *ratione materiae* პრინციპთან შეუთავსებლობის ან აშკარა დაუსაბუთებლობის მიზეზით. მომჩივნები არ დაეთანხმნენ.

104. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მესამე, მეექვსე, მეშვიდე და მეათე მომჩივნებს (ბ-ნი ლ. ბერიანიძე, ბ-ნი გ. დემეტრაშვილი, ქ-ნი გ. ძერყორაშვილი და ქ. მ. კალანდაძე) არ მოუთხოვიათ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყება პოლიციის მხრიდან თავისუფლების სავარაუდოდ უკანონო შეზღუდვის თაობაზე, რაც შესაძლებელი იყო სისხლისსამართლებრივ საჩივრებში სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლზე მითითებით. მართლაც, აღნიშნული საჩივრები შეზღუდული იყო ცალკეული ბრალდებებით კონტრ-დემოსტრანტების მხრიდან სასტიკი მოპყრობისა და ძალადობის საპასუხოდ პოლიციის უმოქმედობის თაობაზე (იხ. ზემოთ, 24-ე და 33-ე პარაგრაფები). ოთხ მომჩივანს ასევე არ უცდია ალტერნატიული სამართლებრივი დაცვის საშუალების სახით შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღდგრა, სამოქალაქო კოდექსში არსებული ზოგადი დელიქტური ნორმების შესაბამისად, პოლიციის მხრიდან სავარაუდო შეურაცხმყოფელი ქმედებებისთვის, რაც მდგომარეობდა საპატრულო სატრანსპორტო საშუალებებში მათი ძალდატანებით ჩასმასა და ადგილიდან ევაკუაციაში (შედარებისთვის იხ. *Saghinadze and Others v. Georgia*, no. 18768/05, §§ 95 და 96, 2010 წლის 27 მაისი; და ასევე, მაგალითად, *Lazariu v. Romania*, no. 31973/03, § 88, 2014 წლის 13 ნოემბერი).

105. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ოთხი მომჩივნის

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტიდან გამომდინარე მოთხოვნები დაუშვებელია კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვის გამო.

106. რაც შეეხება ცამეტი ინდივიდუალური მომჩივნის საჩივრის კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნას, აღებული ცალკეულად ან კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლებთან ერთობლიობაში, ისევე როგორც, საჩივრის მე-13 მუხლიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების არაეფექტურობის მოთხოვნის საფუძველად განმეორებას (იხ. ზემოთ, 102-ე პარაგრაფი), სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი იმეორებს საკითხებს, რომლებიც გამორკვეულ იქნა *lex specialis* - მე-3 და მე-11 მუხლების, ცალკეულად და მე-14 მუხლთან ერთობლიობაში გამოკვლევისას. შედეგად, საჩივრის ეს ნაწილი დაუშვებელია, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად (შედარებისთვის იხილეთ *Kakabadze and Others*, მითითებული ზემოთ, მე-100 პარაგრაფში).

IV. კონვენციის 41-ე მუხლის მოქმედება

107. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

"თუ სასამართლო დასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს."

A. ზიანი

108. მომჩივნებმა განასხვავეს 2012 წლის 17 მაისის ინციდენტის დროს კონვენციით გათვალისწინებული რიგი უფლებების დარღვევის შედეგად განცდილი სხვადასხვა ხარისხის ემოციური მწუხარება და მღელვარება. შესაბამისად, პირველი მომჩივანი, "იდენტობა" და ცამეტი ინდივიდუალური მომჩივანი (მეორედან მეთოთხმეტემდე) ინდივიდუალურად ითხოვენ შემდეგს:

- პირველი მომჩივანი ითხოვს 5 000 ევროს (EUR);
- მესამე და მეექვსე მომჩივნები, თითოეული ითხოვენ 5 000 ევროს (EUR);
- მეშვიდე და მეათე მომჩივნები, თითოეული - 3 000 ევროს (EUR); და
- დარჩენილი ცხრა მომჩივნისგან თითოეული ითხოვს 2 000 ევროს (EUR).

109. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნების მოთხოვნები აშკარად დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული იყო.

110. სასამართლო უდავოდ მიიჩნევს, რომ ცამეტმა ინდივიდუალურმა მომჩივანმა განიცადა მწუხარება და

იმედგაცრუება მე-3, მე-11 და მე-14 მუხლით გათვალისწინებული მათი რიგი უფლებების დარღვევით, ხოლო პირველი მომჩივნის, როგორც იურიდიული პირის, ლეგიტიმური ინტერესი დაზარალდა კონვენციის მე-11 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევით. მხოლოდ აღნიშნული დარღვევების დადგენა საბოლოო არამატერიალური ზიანის არაადეკვატური კომპენსაცია იქნებოდა. საქმის რელევანტური გარემოებების, *ne ultra petitem* პრინციპისა და სამართლიანობის რიგი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო, არამატერიალურ ზიანთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს შემდეგი გადაწყვეტილების მიღებას: მესამე და მეექვსე მომჩივნებს, თითოეულს 4 000 ევრო (EUR); მეშვიდე და მეთათე მომჩივნებს თითოეულს 3 000 ევრო (EUR); დანარჩენი ცხრა ინდივიდუალური მომჩივნიდან თითოეულს 2 000 ევრო (EUR) და 1 500 ევრო (EUR) მომჩივან ორგანიზაციას.

B. ხარჯები

111. ხარჯებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში, სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

C. საურავი

112. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპული ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელსაც უნდა დაემატოს 3 პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად აცხადებს, 1-14 მომჩივნების საჩივრების მოთხოვნებს კონვენციის მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებიდან გამომდინარე და 2-14 მომჩივნების საჩივრების მოთხოვნებს კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე დასაშვებად.
2. ერთხმად აცხადებს საჩივრის დანარჩენ ნაწილს დაუშვებლად.
3. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ 2-14 მომჩივნებთან მიმართებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.
4. ერთხმად ადგენს, რომ არ არსებობს კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე საჩივრის მოთხოვნის განხილვის აუცილებლობა.

5. ერთხმად ადგენს, რომ 1-14 მომჩივნებთან მიმართებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

6. ერთხმად აცხადებს,
 - (a) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, არამატერიალური ზიანისთვის, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, გადაუხადოს მომჩივნებს შემდეგი ფულადი ოდენობები, მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში შეთანხმების თარიღის დროს არსებული განაკვეთის გათვალისწინებით:
 - (i) ბ-ნ ლ. ბერიანიძესა და ბ-ნ გ. დემეტრაშვილს, თითოეულს 4 000 ევრო (ოთხი ათასი ევრო);
 - (ii) ქ-ნ გ. ძერყორაშვილსა და ქ-ნ მ. კალანდაძეს, თითოეულს 3 000 ევრო (სამი ათასი ევრო);
 - (iii) ბ-ნ ლ. ასათიანს, ქ-ნ თ. ბილიხოძეს, ბ-ნ ბ. ბუჩაშვილს, ქ-ნ ე. გლახაშვილს, ქ-ნ ნ. ღვინიაშვილს, ბ-ნ მ. ხალიბეგაშვილს, ქ-ნ თ. მელაშვილს, ქ-ნ კ. ცაგარეიშვილსა და ქ-ნ მ. ცუცქირიძეს, თითოეულს 2 000 ევრო (ორი ათასი ევრო);
 - (iv) მომჩივან ორგანიზაციას, არასამთავრობო ორგანიზაცია იდენტობას 1 500 ევრო (ათას ხუთასი ევრო);
 - (v) ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაეკისროს აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით;

(b) ზემოთხსენებული სამი თვის ამოწურვიდან შეთანხმებამდე, აღნიშნულ თანხებზე გადახდილი უნდა იქნეს ჩვეულებრივი საპროცენტო განაკვეთი, რაც გადაუხდელობის პერიოდში არსებული ევროპული ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის ტოლია. აღნიშნულს უნდა დაემატოს 3 პროცენტი.

7. ერთხმად უარყოფს მომჩივნების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობა მხარეებს 2015 წლის 12 მაისს, სასამართლოს წესების 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ფრანსუა ელენ-პასო
განმწესრიგებელი

პაივი ჰირველა
თავჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სასამართლოს წესების 74-ე წესის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე ვოიტიჟეკის განსხვავებული მოსაზრება.

მოსამართლე ვოიტიჩეკის განსხვავებული მოსაზრება

1. მოცემული საქმის მთავარი სირთულე ფაქტების ზუსტად დადგენაში მდგომარეობს. ჩვეულებრივ, სასამართლო მიიჩნევს კონვენციის დარღვევებს დადგენილად "გონივრულ ეჭვს მიღმა". მოცემულ საქმეში, ამ სტანდარტის მიღწევა რთულია. არ არსებობს არც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება და არც სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მოგვცემდა 2012 წლის 17 მაისს თბილისში ფაქტობრივად მომხდარის დეტალურ სურათს. მოპასუხე მთავრობამ არ უზრუნველყო მოვლენების შესახებ საკმარისი ინფორმაციის მოწოდება. ინფორმაციის მთავარი წყარო მომჩივნების წარდგინებებია. ამ კონტექსტში აღვნიშნავ, რომ ჩვეულებრივ, მომჩივნის წარდგინებებზე დაყრდნობით ფაქტების დადგენისას სასამართლო ძალიან წინდახედულია. მიუხედავად ამისა, მოცემულ საქმეში უმრავლესობამ გადაწყვიტა მომჩივნების განცხადებების საფუძველზე ემოქმედა. პირადად მე, ამ მიმართულებით უფრო ფრთხილ მიდგომას ვარჩევდი. კერძოდ, ფაქტების სრული სიცხადის ნაკლებობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო დემონსტრაციის დროს მომჩივნების გრძნობების დადგენა.

აღვნიშნავ, რომ ზემოთ აღნიშნული საქმის ფაქტებთან დაკავშირებული გაურკვეველობა გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში გარკვეულწილად უმრავლესობის ყოყმანის საფუძველი გახდა. ერთი მხრივ, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონტრ-დემონსტრანტების დისკრიმინაციული მოტივი ცხადად დამტკიცდა (იხ. გადაწყვეტილების 68-ე, 70-ე და 74-ე პარაგრაფები). მეორე მხრივ, სხვა მონაკვეთში დისკრიმინაციული მოტივი აღწერილია როგორც "შესაძლო" და წარმოდგენილია შეკითხვად, რომელიც გამოკვლევის პროცესში შიდასახელმწიფოებრივი სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან განმარტებებს მოითხოვს (იხ. 77-ე პარაგრაფი).

2. აღვნიშნავ, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე დაპირისპირებული შეხედულებების მქონე დემონსტრანტებს შორის კონფლიქტები ევროპაში საკმაოდ ჩვეული მოვლენაა. ამ კონტექსტში, სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებაა უზრუნველყონ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, ისევე როგორც, ერთდროულად მიმდინარე კანონიერ დემონსტრაციებში მონაწილე პირების ფიზიკური ხელშეუხებლობა.

მომჩივნები მონაწილეობას იღებდნენ კანონიერ შეკრებაში თბილისში. სასამართლო სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველომ დაარღვია კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული, მომჩივნების წინაშე არსებული თავისი ვალდებულება.

შეკრების თავისუფლების დაცვისას სახელმწიფოს ვალდებულების საკითხზე მსჯელობისას, უმრავლესობა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ორგანოები "ვალდებულები იყვნენ გამოეყენებინათ ნებისმიერი შესაძლო საშუალება" (იხ. 99-ე პარაგრაფი). მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა განცხადება იმის თაობაზე, რომ სახელისუფლებო ორგანოებს ჰქონდათ ვალდებულება გამოიყენებინათ ნებისმიერი საშუალება, რომელიც გონივრულად მოსალოდნელი იყო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

3. უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს დემონსტრანტების "ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევით ფაქტებზე". ჩემი აზრით, მოცემულ საქმეში, მომჩივნების უფლებების სავარაუდო დარღვევა ვერ აღწევს სისასტიკის იმ ზღვრამდე, რაც საჭიროა კონვენციის მე-3 მუხლის გამოსაყენებლად. შესაბამისად, მე ხმა კონვენციის მე-3 მუხლის, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, დარღვევის დადგენის საწინააღმდეგოდ მივეცი. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში კონვენციის მე-3 მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია უფრო დეტალურად აღწერე მოსამართლე მაჰონის განსხვავებულ მოსაზრებაში, რომელიც თან ერთვის გადაწყვეტილებას საქმეზე *Abdu v. Bulgaria* (no. 26827/08, 2014 წლის 11 მარტი).

4. აღვნიშნავ, რომ ახლახანს სასამართლოს იმავე სექციამ იმსჯელა საქმეზე *Karahmed v. Bulgaria* (no. 30587/13), 2015 წლის 24 თებერვლის ერთსულოვან გადაწყვეტილებაში. აღნიშნულ საქმეში, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, დადგინდა მუსულმანი მორწმუნეების წინააღმდეგ ბევრად სერიოზული ფიზიკური თავდასხმები, ისევე როგორც, ის ფაქტი, რომ თავდამსხმელები რელიგიური შეუწყნარებლობით იყვნენ მოტივირებულნი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ, ჩემი აზრით, სწორად გადაწყვიტა, რომ მე-3 მუხლის ზღვარი აღნიშნულ საქმეში ვერ დაკმაყოფილდა და საჩივრის კოვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, აშკარად დაუსაბუთებლად გამოცხადდა. სასამართლომ გამოიკვლია მხოლოდ საჩივრის კონვენციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა და დაადგინა ამ უკანასკნელის დარღვევა.

მე ვერ ვხედავ ვერანაირ თანდამიდევრულობას კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების საკითხთან დაკავშირებულ სასამართლო მიდგომებს შორის საქმეებში, რომლებიც მოიცავს იმ ადამიანების სავარაუდო შეურაცხყოფას, რომლებიც თავის მხრივ კონვენციით დაცული თავისუფლებების სუბიექტები არიან.

დანართი

ნომერი	სახელი/გვარი	დაბადების
1.	არასამთავრობო ორგანიზაცია იდენტობა („პირველი მომჩივანი“)	-----
2.	ბ-ნი ლევან ასათიანი ("მეორე მომჩივანი")	1/01/1989
3.	ბ-ნო ლევან ბერიანიძე ("მესამე მომჩივანი")	5/09/1990
4.	ქ-ნი თინა ბილიხოძე ("მეოთხე მომჩივანი")	15/09/1959
5.	ბ-ნი ბექა ბუჩაშვილი ("მეხუთე მომჩივანი")	13/05/1990
6.	ბ-ნი გურამ დემეტრაშვილი ("მეექვსე მომჩივანი")	3/10/1988
7.	ქ-ნი გვანცა ძერყორაშვილი ("მეშვიდე მომჩივანი")	7/03/1990
8.	ქ-ნი ელინა გლახაშვილი ("მერვე მომჩივანი")	4/11/1984
9.	ქ-ნი ნათია ღვინიაშვილი ("მეცხრე მომჩივანი")	30/05/1986
10.	ქ-ნი მაგდა კალანდაძე ("მეათე მომჩივანი")	6/02/1986
11.	ბ-ნი მიეილ ხალიბეგაშვილი ("მეთერთმეტე მომჩივანი")	6/12/1991
12.	ქ-ნი თამთა მელაშვილი ("მეთორმეტე მომჩივანი")	4/07/1979
13.	ქ-ნი ქეთი ცაგარეიშვილი ("მეცამეტე მომჩივანი")	5/05/1979
14.	ქ-ნი მარიამ ცუცქირიძე ("მეთოთხმეტე მომჩივანი")	25/08/1992
15.	ბ-ნი ირაკლი ვაჭარაძე ("მეთხუთმეტე მომჩივანი")	7/03/1980